გაზეთი ზევრის, „ვერსიას" ერთი

ვერსია

№30 (1572) 25 – 31 აგვისტო ოთხშაბათი 2021 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

როგორ შოულობს ანტივაქსერების მაფია ფულს

„ოპოზიციაცაა დამნაშავე და მთავრობაც ამ მკვლელობაში" – გიორგი ფხაკაძე ბრალს სდებს

თავდასხმა „ბორდელზე" და „მამაშას" მკვლელობა

რატომ არ მიუსაჯეს მეძავის მკვლელებს დახვრეტა

გაფლანგული ბიუჯეტი და კორუფციული გარიგების რისკები ჭიდაობის ფედერაციაში

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია

NATIONAL WRESTLING FEDERATION OF GEORGIA

აუდიტის სახელმწიფო სამსახურის მორიგი სკანდალური დასკვნა

29 აგვისტოს ტერაქტის 26-წლიანი საიდუმლო

რა უთანხმოება მოხდა აფეთქებამდე შევარდნაძესა და გიორგაძეს შორის – დღემდე უცნობი ფაქტები

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

ვახტანგ ძაბირაძე: „სააკაშვილს საქართველოში ჩამოსვლას არ ვურჩევ!"

„ოპოზიციის გარკვეულ ნაწილს რიგგარეშე არჩევნები მაინცდამაინც აღარ უნდა"

29 აგვისტოს ტერაქტის 26-წლიანი საიდუმლო

რა უთანხმოება მოხდა აფეთქებამდე შევარდნაძესა და გიორგაძეს შორის – დღემდე უცნობი ფაქტები

ნინო დოლიძე

ეს ამბავი ზუსტად 26 წლის წინ მოხდა – სახელმწიფოს მეთაური ააფეთქეს. იმ დროს მსგავსი ამბები არავის უკვირდა, თუმცა ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმა მაინც შოკისმომგვრელი იყო... მას მერე ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა. მართალია, შევარდნაძეზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმისთვის კონკრეტული პირები პასუხისგებაში მისცეს, მაგრამ ტერაქტის ორგანიზატორად შერაცხული უშიშროების ექსმინისტრი, იგორ გიორგაძე დღემდე ძებნილია ანუ რუსეთში თავს მშვენივრად გრძნობს, მაგრამ საქართველოს ყველა დროის ყველა ხელისუფლება ნომერ პირველ ქართველ ტერორისტად მიიჩნევს და ჩვენი ქვეყნის საზღვრის გადმოკვეთას შეეცდება თუ არა, მაშინვე გისოსებს მიღმა აღმოჩნდება.

ისე, სხვდასხვა დროს, არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია, რომ გიორგაძე საქართველოში ფარულად ჩამოვიდა. უფრო მეტიც, მასთან კოლაბორაციის საბაბით, სააკაშვილის ხელისუფლებამ თავის დროზე ფართომასშტაბიანი სპეცოპერაციაც ჩაატარა და სასამართლო ექსპერტი, მაია ნიკოლეიშვილი და სხვა პირები დააპატიმრა. მაშინ გიორგაძესთან კავშირისთვის, ცოტა ხანს, სამართალდამცავებთან პრობლემები ირინა სარიშვილსაც ჰქონდა, თუმცა დღემდე გაუგებარია, რა საერთო ნახა გიორგაძესთან სარიშვილმა, რომელიც დასავლური დემოკრატიის მიმდევარია. ამასთან, ისიც საგულისხმოა, რომ თავის დროზე, გია ჭანტურიას მკვლელობის კვალი გიორგაძესთან მივიდა, თუმცა ამის მიუხედავად, სარიშვილ-გიორგაძის ალიანსი მაინც შედგა.

ერთი სიტყვით, მართალია, დღეს ტერაქტები ჩვენს ქვეყანაში აღარ ხდება, მაგრამ თუ გასული, ორი ათეული წლის მოვლენებს გადავხედავთ, ნათლად გამოჩნდება, რომ მაშინდელი აქტორების უმეტესობა დღესაც პოლიტიკურ ავანსცენაზეა და, როგორც მაშინ, ახლაც გაიძახის, ძველებურად ცხოვრება აღარ შეიძლება და რაღაცები უნდა შევცვალოთო ანუ ამ ადამიანებს პავლედან სავლედ გადაქცევა კარგად გამოსდით და ყვარყვარეობასაც მშვენივრად ითავსებენ. ჰოდა, სანამ ძველი ახალი სახეები უკეთეს ცხოვრებას შეგვიქმნიან, მოდით, გავიხსენოთ, რა მოხდა 1995 წლის 29 აგვისტოს.

... სოხუმის დაკარგვის შემდეგ, ედუარდ შევარდნაძე უშიშროების მინისტრად იგორ გიორგაძეს ნიშნავს. რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომელი მუშაობას ენთუზიაზმით იწყებს და იმ დროისთვის წარმატებული ბიზნესმენის, თემურ მასხულიას დახმარებით, სპეცდანიშნულების რაზმებს – „ალფასა“ და „ომეგას“ ქმნის. შევარდნაძე უშიშროების მინისტრის მუშაობით კმაყოფილია და მას სრულ თავისუფლებას აძლევს... ამასობაში, გიორგაძე მხედრიონელ თემურ ხაჩიშვილს უკავშირდება და თავის პირველ მოადგილედ ნიშნავს.

ვერსიანიუსი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ იზოლაციისა და კარანტინის წესების განმეორებით დარღვევის გამო, ახალქალაქში მდებარე სარიტუალო დარბაზი დალუქა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, იზოლაციისა და კარანტინის წესების განმეორებით დარღვევის გამო, ახალქალაქში მდებარე სარიტუალო დარბაზი დალუქეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნული ობიექტი იზოლაციისა და კარანტინის წესების დარღვევისთვის დაჯარიმდა. ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების მიუხედავად, სარიტუალო დარბაზის ადმინისტრაციამ კვლავ განაგრძო საქართველოს მთავრობის დადგენილებით აკრძალული ეკონომიკური საქმიანობა, რის გამოც გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 248-ე პრიმა მუხლით და აღნიშნული ობიექტი დაილუქა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 248 -ე პრიმა მუხლის თანახმად, იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევისათვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ იგივე ქმედების განმეორებით ჩადენა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, კერძოდ, იურიდიული პირის შემთხვევაში – დაჯარიმებას, საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, ასევე, მის მიმართ ლიკვიდაციისა და დაჯარიმების ღონისძიების ერთობლივად გამოყენების შესაძლებლობას, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში – შინაპატიმრობას ექვსი თვიდან ორ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით, სამ წლამდე ვადით.

პოლიციამ ქობულეთის მუნიციპალიტეტში მომხდარი დაჭრის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ქობულეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული გ.გ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა, ასევე, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ნაცნობი, 1996 წელს დაბადებული ბ.მ. ურთიერთშელაპარაკებისას ცივი იარაღით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილ მამაკაცს შესაბამისი სამედიცინო დახმარება ჩაუტარდა.

პოლიციამ ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე, ქობულეთში დააკავა.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

პოლიციამ იზოლაციისა და კარანტინის წესების განმეორებით დარღვევის გამო, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მდებარე რესტორანი დალუქა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, იზოლაციისა და კარანტინის წესების განმეორებით დარღვევის გამო, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მდებარე რესტორანი „ჩვენებური“ დალუქეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნული ობიექტი იზოლაციისა და კარანტინის წესების დარღვევისთვის დაჯარიმდა. ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების მიუხედავად, რესტორნის ადმინისტრაციამ კვლავ განაგრძო საქართველოს მთავრობის დადგენილებით აკრძალული ეკონომიკური საქმიანობა, რის გამოც გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 248-ე პრიმა მუხლით. აღნიშნული რესტორანი პოლიციამ იზოლაციისა და კარანტინის წესების განმეორებით დარღვევის გამო დალუქა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 248 -ე პრიმა მუხლის თანახმად, იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევისათვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ იგივე ქმედების განმეორებით ჩადენა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, კერძოდ, იურიდიული პირის შემთხვევაში – დაჯარიმებას, საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, ასევე, მის მიმართ ლიკვიდაციისა და დაჯარიმების ღონისძიების ერთობლივად გამოყენების შესაძლებლობას, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში – შინაპატიმრობას ექვსი თვიდან ორ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით, სამ წლამდე ვადით.

29 აგვისტოს ტერაქტის 26-წლიანი საიდუმლო



შევარდნაძის გარემოცვას გიორგაძე-ხაჩიშვილის ურთიერთობა არ მოსწონს. ამ კუთხით, განსაკუთრებით პარლამენტის მაშინდელი ვიცე-სპიკერი, აწ განსვენებული ვახტანგ რჩეულიშვილი აქტიურობს.

29 აგვისტოს ტერაქტამდე არცთუ დიდი ხნით ადრე, ედუარდ შევარდნაძეს, კულუარებიდან გამოჟონილი ხმების თანახმად, იგორ გიორგაძესთან ურთიერთობა უფუჭდება. „პირველს“ მხედრიონის შეფი, ჯაბა იოსელიანიც საჯაროდ აკრიტიკებს. მართალია, დოქტორი ჯაბა საზოგადოებაში დიდი პოპულარობით არ სარგებლობს, მაგრამ ის პრეზიდენტობის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად ითვლება... ხმა დადის, რომ „კა-გე-ბე“ პრეზიდენტად, თითქოს, გიორგაძეს ამზადებს. ამბობენ იმასაც, რომ რუსეთის სამხედრო ელიტას გიორგაძის კანდიდატურა არ მოსწონს და მის საპირწონედ ე.წ. შევარდნაძის ფონდის ხელმძღვანელს, სოლიკო ხაბეიშვილს მიიჩნევს. ზოგიერთი ცნობით, რუსმა სამხედროებმა ხაბეიშვილს შუაკაციც გაუგზავნეს, მაგრამ მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა...

ამის შემდეგ მოვლენები ფატალურად ვითარდება: 1995 წლის ივლისის ბოლოს, ხაბეიშვილს საკუთარ სახლთან კლავენ, ზუსტად ერთ თვეში, 29 აგვისტოს კი შევარდნაძეს აფეთქებენ. იმავე წლის შემოდგომაზე საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ხმას შევარდნაძეს აძლევს...

ერთი ვერსიით, ხაბეიშვილი იმიტომ მოკლეს, რომ სამძიმარზე მისული შევარდნაძე ლიფტში აეფეთქებინათ, თუმცა გამოძიებამ ლიფტში ასაფეთქებელი ნივთიერების კვალი ვერ აღმოაჩინა. ასე რომ, ხაბეიშვილის მკვლელობასა და 29 აგვისტოს ტერაქტს შორის კავშირზე ლაპარაკი, ალბათ, ნონსენსია, თუმცა შევარდნაძეზე თავდასხმა, როგორც იმდროინდელი პოლიტიკური ვერტიკალი იხსენებს, მოულოდნელი არავისთვის ყოფილა.

„ტერაქტისათვის მზადება საქართველოში რამდენიმე კაცმა დაიწყო, მათ შორის, იგორ გიორგაძემაც. ეს ადამიანები კონსულტაციებისთვის მოსკოვს, კერძოდ, გენერალ ერინს ხშირად უკავშირდებოდნენ, – იხსენებს ინფორმატორი, რომელიც 1995 წელს, უშიშროებასთან არაოფიციალურად თანამშრომლობდა და რომელსაც ერთხანობას, 29 აგვისტოს ტერაქტში მონაწილეობაც ბრალდებოდა, – **ერინი კონკრეტულ მითითებებს იძლეოდა, თუ როგორ უნდა ემოქმედათ შევარდნაძის ლიკვიდაციის შემდეგ“.**

... ედუარდ შევარდაძის ესკორტის წინ, მუდამ „07“ მარკის მანქანა მიდიოდა. რჩეულიშვილის ინიციატივით, დაზარალებულები სწორედ ამ „07“-ში სხდებიან. წინა სავარძელს შევარდნაძის დაცვის ერთ-ერთი წევრი, კახა შევარდენიძე იკავებს, რომელიც 1998 წლის 9 თებერვალს, შევარდნაძეზე მოწყობილი მეორე ტერაქტის დროს დაიღუპა...

– სად მივდივართ? – კითხულობს დასისხლიანებული შევარდნაძე.

– მეცხრე საავადმყოფოში, – პასუხობს „07“-ის მძღოლი, მაგრამ რჩეულიშვილის დაჟინებული მოთხოვნით, მარშრუტი იცვლება და დაზარალებულები რეს-პუბლიკურ საავადმყოფოში მიდიან. სხვათა შორის, არსებობს ეჭვი, რომ ტერორისტები შევარდნაძეს მეცხრე საავადმყოფოსთანაც ელოდნენ...

ტერაქტის მეორე დღეს, 30 აგვისტოს, გარკვეული ძალები ხალხში ხმას ჰყრიან, შევარდნაძე ჯაბა იოსელიანმა ააფეთქაო. ამბობენ იმასაც, რომ თითქოს, ჯაბა იგორ გიორგაძესთან იყო შეკრული, რომელიც 29 აგვისტოს, საღამოს, ვაზიანის აეროპორტიდან, გაურკვეველი მიმართულებით გაფრინდა.

„1995 წლის 29 აგვისტოს, დილით, ვაზიანის აეროპორტში ვიყავი. სწორედ იმ დღეს, ყოფილი ამიერკავკასიის ჯარების მთავარი სადაზვერვო სამმართველოს უფროსი, ევგენი მარუსინი და მისი ოჯახი საქართველოდან მიდიოდა და მათ ვაცილებდი, – იხსენებს ინფორმატორი, – **მარუსინთან ერთად, მოსკოვში ვარდიკო ნადიბაიძე და მისი მოადგილე ნიკოლაიშვილიც გაფრინდნენ, მაგრამ გიორგაძემ საქართველო 29 აგვისტოს კი არა, პირველ სექტემბერს დატოვა. თავისი ამალით, ის ჯერ ამიერკავკასიის შტაბში მივიდა, მერე კი სამხედრო მანქანებით ვაზიანისკენ გაემართა, სადაც სპეციალურად მის წასაყვანად, რუსეთიდან ჩამოსული „ილ-76“ ტიპის თვითმფრინავი ელოდა. ჯაბა იოსელიანმა არაფერი იცოდა. საერთოდ, შევარდნაძე იგორ გიორგაძეს რომ არ დაპირისპირებოდა, 29 აგვისტოს ტერაქტი არ მოხდებოდა“,** – იხსენებდა რჩეულიშვილი.

რატომ დაუპირისპირდა შევარდნაძე გიორგაძეს? – ამაზე ინფორმაცია, პრაქტიკულად, არ არსებობს.

29 აგვისტოს ტერქატიდან ზუსტად 26 წელი გავიდა. თემურ ხაჩიშვილმა, გიგა გელაშვილმა და ტერაქტში სხვა ეჭვმიტანილებმა სასჯელი მოიხადეს, თუმცა 29 აგვისტოს ორგანიზატორად აღიარებული იგორ გიორგაძე, როგორც აღვნიშნეთ, დღემდე მოუხელთებელია. სხვათა შორის, ხაჩიშვილიც და გელაშვილიც შევარდნაძის მმართველობის დროს შეიწყალეს, თუმცა „ვარდების ხელისუფლებამ“ თემურ ხაჩიშვილი, იარაღის უკანონო ტარების საბაბით, ისევ დაიჭირა. გიგა გელაშვილი კი უცხოეთში ცხოვრობს..

ვახტანგ ძაბირაძე: „სააკაშვილს საქართველოში ჩამოსვლას არ ვურჩევ!“

თათია გოჩაძე, 598-43-50-34

საქართველოში საარჩევნო კამპანია არცთუ აქტიურად მიმდინარეობს. ზოგ ოპოზიციურ პარტიას საკუთარი კანდიდატები ჯერ არც კი დაუსახელებია. არადა, დიდი ხანია, ოპოზიცია იმაზე საუბრობს, რომ 2 ოქტომბრის არჩევნები რიგითი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები კი არა, არამედ, ერთგვარი რეფერენდუმია, რომელმაც ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის ბედი უნდა გადაწყვიტოს. ამ ფონზე, რითი აიხსნება ოპოზიციის პასიური საარჩევნო კამპანია? – „ვერსია“ ექსპერტ ვახტანგ ძაბირაძეს ესაუბრა, რომელიც ყირიმის სამიტის შექმნასა და ამ პლატფორმაში საქართველოს მონაწილეობასაც აფასებს:

„ოპოზიციის გარკვეულ ნაწილს რიგგარეშე არჩევნები მაინცდამაინც აღარ უნდა“

– დროთა ვითარებამ და ისტორიულმა სვლამ ისე მოიტანა, რომ მოლდოვა, უკრაინა და საქართველო ერთმანეთის არა მარტო მოკავშირე, არამედ, ერთნაირი პრობლემების მქონე ქვეყნებიც აღმოვჩნდით. სამივეს რუსეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზია გვაქვს. ასევე, ისიც გვაერთიანებს, რომ სამივე ქვეყანა ევროპისკენ მიისწრაფვის. ამ კავშირის ფაქტობრივი გაერთიანება კი იმის საშუალებას იძლევა, რომ ერთობლივი გადაწყვეტილებები მივიღოთ და საერთო სტრატეგია შევიმუშავოთ, როგორც რუსეთთან, ასევე, დასავლეთთან ურთიერთობაში. ნებისმიერი ასეთი კავშირი საერთაშორისო დონეზე იწვევს გარკვეულ პოზიციონირებას და, პრაქტიკულად, ახალი პლატფორმა შეიქმნა, რომელში მონაწილეობაც ძალიან მნიშვნელივანია. გეოპოლიტიკურად ამ გაერთიანებას საკმაოდ დადებითი და სამივე ქვეყნისთვის მომგებიანი მნიშვნელობა აქვს.

– ბატონო ვახტანგ, საგარეო პოლიტიკასთან ერთად, ქვეყნის შიდა პროცესებიც მნიშვნელოვანია. საარჩევნო კამპანიას როგორ აფასებთ?

– ამ არჩევნებს პოლიტიკური ძალები სხვადასხვაგვარად უყურებენ და როგორც ჩანს, ინტერესებიც განსხვავებულია იმიტომ, რომ თავიდან ოპოზიციამ ერთხმად დაიწყო ლაპარაკი, ეს არის არა მხოლოდ არჩევნები, არამედ, რეფერენდუმიო. სააკაშვილმა მონათლა „რეფერენდუმად“ და შემდეგ, ყველამ დაიწყო ამაზე საუბარი, რადგან 43%-იანი ბარიერი არსებობდა მიშელის ხელშეკრულებაში და აქედან გამომდინარე, ამ არჩევნებს საზოგადოება სხვაგვარად მიუდგა.

შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ ეს შეთანხმება დატოვა და განაცხადა, რომ მისთვის მნიშვნელობა აღარ აქვს 43%-ს აიღებს თუ არა და რიგგარეშე არჩევნები ამაზე არ იქნება დამოკიდებული. ამ თემამ კი დაბნეულობა გამოიწვია ოპოზიციაშიც და მის ელექტორატშიც. როცა 43%-იან ბარიერზე „ოცნებამ“ თქვა უარი, მიდგომები გაიყო, რადგან ოპოზიციური პარტიები თვლიან, რომ ისინი მაინც აიძულებენ მმართველ ძალას, რომ რიგგარეშე არჩევნები ჩაატაროს. ელექტორატს კი მშვენივრად ესმის ეს „იძულება“ რასაც ნიშნავს – ისევ ქუჩას, აქციებს და ა.შ. არადა, დღეს თუ ვინმეს არ უნდა ქუჩის აქციები, ელექტორატია. შესაბამისად, ნაციონალური მოძრაობა და მის გარშემო არსებული პოლიტიკური ძალები ისევ ლაპარაკობენ რეფერენდუმზე, თუმცა ძალიან სერიოზულად ჩაერთო ნაციონალური მოძრაობა ამ საარჩევნო კამპანიაში, მთელი პარტიული ელიტა უშუალოდაა ჩართული პროცესში. მიუხედავად ამისა, განწყობა მოსახლეობაში და მოლოდინები, ფაქტობრივად, არ არსებობს.

ოპოზიციის გარკვეულ ნაწილს, „ნაციონალების“ გარდა, რიგგარეშე არჩევნები მაინცდამაინც აღარ უნდა, რადგან ყველა გამოკითხვა აჩვენებს, რომ მათი რეიტინგი წინა საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით დაეცა, რაც ლოგიკურია, რადგან მათ მიერ ბოიკოტის გამოცხადება ელექტორატისთვის ბოლომდე გასაგები არ იყო და რაც მთავარია, ამ პარტიების ელექტორატის 90% ის ამომრჩეველია, რომელსაც არც „ოცნება“ უნდა და არც – ნაციონალური მოძრაობა. როდესაც ეს გაგრძელდა, ამ ამომრჩევლის დიდმა ნაწილმა ხელი ჩაიქნია ამ პარტიებზე. ამიტომ, ამ პარტიებისთვის რიგგარეშე არჩევნები მისაღები არაა. რადგან პარლამენტში შევიდნენ და ეს ნაბიჯი გადადგეს, ურჩევნიათ, მათთვის მომგებიან სიტუაციას დაელოდონ და არ აყვნენ ამ აჟიოტაჟს. ამან გამოიწვია, რომ დღეს ოპოზიცია ერთიანი არაა.

ამასთან, ადგილობრივი არჩევნები საშუალებას იძლევა, პარტიული სტრუქტურა გამართო, რადგან ამ არჩევნებში რეგიონების ჯგუფების ინტერესები უფროა, ვიდრე – ცენტრალური პარტიის. პარტიის მცირე ჯგუფები იბრძვიან საკრებულოებში, მერიაში მოსახვედრად და მათი ინტერესი მეტია, რაც პარტიული სტრუქტურის შექმნის საშუალებას იძლევა. თავის მხრივ, ეს განაპირობებს, რომ მეტად არაა აქტიური საარჩევნო კამპანია, თუმცა იმედი მაქვს, სექტემბერში უფრო გააქტიურდება და ხელშესახები გახდება, თორემ დღეს ქუჩაში არც კი იგრძნობა, რომ არჩევნები მოდის.

– ოპოზიციის იმ განცხადების კვალობაზე, რომ ეს არჩევნები არის ერთგვარი რეფერენდუმი, ასეთი პასიურობა საკუთარი ამომრჩევლისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ხომ არაა? ზოგ პარტიას ჯერ კანდიდატებიც კი არ დაუსახელებია...

– ამ მცირე პარტიებს პარტიული სტრუქტურები არ აქვთ გამართული, თან ადგილობრივ არჩევნებში საკმაოდ დიდი ადამიანური რესურსია საჭირო. თავი რომ დავანებოთ საარჩევნო უბნების დაკომპლექტებას, კანდიდატთა რაოდენობაა დიდი. გარდა ამისა, უკვე ვისაუბრე, რომ ეს პარტიები მაინცდამაინც მონდომებული არ არიან, რომ რიგგარეშე არჩევნები ჩატარდეს. შეიძლება, მცირე რაიონებში არ ჰყავდეთ ჯგუფი და არ ჩქარობდნენ დასახელებას, მაგრამ თბილისის მერობის კანდიდატი უკვე დასახელებული უნდა ჰყავდეთ, თუ რაღაცის იმედი აქვთ. აქაც ის ფაქტორია, როდესაც ეს პარტიები შეგუებულები არიან, რომ პირველი-მეორე ადგილი იქნება ნაციონალური მოძრაობისა და „ოცნების“...

– ოპოზიცია საერთო კანდიდატის გარშემო რომ ვერ ერთიანდება, ეს კარგია თუ ცუდი?

– ამას ადგილობრივი არჩევნების პერსპექტივიდან არ უნდა შევხედოთ. მელია დღეს ოპოზიციურ ფლანგზე ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსია ელექტორალური მხარდაჭერის თვალსაზრისით. ამიტომ, თითქოს ბუნებრივია, რომ მას დაუჭირო მხარი, თუ წარმატება გინდა არჩევნებში, მაგრამ არის მეორე მხარეც – რომ ბოიკოტის დროს, ერთიანობამ ამ პარტიებს ელექტორატი კი არ შემატა, არამედ, დააკარგვინა.

– ანუ, ნაციონალურ მოძრაობასთან აფილირებამ სხვა პარტიებს ელექტორატი დააკარგვინა?

– დიახ და იციან, რიგგარეშე არჩევნებში უფრო ცუდი შედეგი ექნებათ და ამიტომ არ აწყობთ. თუ მელიას დაუჭერენ მხარს, ეს ნიშნავს, რომ პერსპექტივაც არ ექნებათ, შემდეგ არჩევნებში სერიოზულ მხარდაჭერას მიაღწიონ. ცალკე თემაა, მელიას კანდიდატურა უნდა დასახელებულიყო თუ არა. კი, ნაციონალური მოძრაობა თითქოს ჩაერთო არჩევნების ბრძოლაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჟინი მათგანაც არ იგრძნობა.

– სააკაშვილის ჩამოსვლის საკითხი ცოტა არასერიოზულად იქცა, რადგან ყველა არჩევნების დროს აანონსებს ჩამოსვლას, თუმცა დღემდე კიევშია. ამჯერად, როგორ ფიქრობთ, ჩამოვა?

– სააკაშვილის ჩამოსვლა არარეალურია და რომ მკითხოს, არც ვურჩევდი. არასდროს ველოდი, რომ ჩამოვიდოდა, მაგრამ იყო მომენტები, თუნდაც ნოემბრის არჩევნების შემდეგ, როცა საპროტესტო ტალღა აგორდა, რომ ჩამოსულიყო, გაცილებით უკეთესი ნიადაგი იყო ამისთვის. ახლა კი ისეთი ვითარებაა, რომ არ ვურჩევდი ამ ნაბიჯის გადადგმას. ზედმეტია ყველასთვის, ნაციონალური მოძრაობისა და მისი ელექტორატისთვისაც კი. შესაძლა, პანდემიის დამსახურებაცაა, მაგრამ საზოგადოებას პოლიტიკა საერთოდ აღარ აინტერესებს, ამიტომ სააკაშვილის ჩამოსვლა გამორიცხულია.

– ბატონო ვახტანგ, IRI-ს ბოლო კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა უმეტესობა არც ერთ პარტიას აძლევს ხმას. ეს აჩენს თავისუფალ სივრცეს, რომ ქართულ პოლიტიკაში გამოჩნდეს ახალი ძალა?

– კი, არსებობს ეს ელექტორატი. ჩვენი პრობლემა ისაა, რომ ავტორიტარიზმს ვერ ვეგუებით და დემოკრატიისთვის პოლიტიკური განათლება არ გვყოფნის. ეს სივრცე და მოლოდინი არსებობს. იმის უნარი, რომ საზოგადოებამ თავად წარმოშვას ახალი პარტია და ლიდერი, ამისთვის პოლიტიკური ძალა, საზოგადოების მზაობა არ გვყოფნის. არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სპექტრი მთლიანად გაკოტრებულია პოლიტიკურად და მორალურად. ამიტომ არსებული რეალობიდან რომ რაღაც წარმოიშვას, ძნელი სათქმელია. თავის დროზე, „ეროვნული მოძრაობიდან“ ველოდებოდით იმედს, შემდეგ გამოცდილი პოლიტიკოსი გვყავდა... შემდეგ ევროპაში განათლებამიღებული ჯგუფის ლიდერი, შემდეგ მილიარდერი და არც ერთმა გაამართლა, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებას მოლოდინები აქვს, მაგრამ მხოლოდ იმის ძალისხმევა გვყოფნის, რომ რაღაც შევცვალოთ და შემდეგ გადავდივართ საღათას ძილში. საზოგადოება უნდა იყოს სხვაგვარი, ალბათ, ამას დრო და თაობები მოიტანს.

როგორ შოულობს ანტივაქსერების მაფია ფულს

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„ოპოზიციაცაა დამნაშავე და მთავრობაც ამ მკვლელობაში“ – გიორგი ფხაკაძე ბრალს სდებს

კორონავირუსის გავრცელებისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლით, მსოფლიოს მასშტაბით, საქართველო პირველ სამეულშია. ურთულესი ეპიდვითარების ფონზე, ქვეყანაში სწავლის დაწყებისა და არჩევნების თარიღები მოახლოვდა, რაც პანდემიის კიდევ უფრო გართულების საფრთხეს ქმნის. რა უნდა გაკეთდეს ქვეყანაში პანდემიური ვითარების შესამსუბუქებლად და რა ახალი ტენდენციები გამოიკვეთა მსოფლიოში პანდემიის მართვის კუთხით? – „ვერსია“ ჯანდაცვის მსოფლიო ექსპერტს, პროფესორ გიორგი ფხაკაძეს ესაუბრა:

– ბატონო გიორგი, საქართველოში, პანდემიის მართვის თვალსაზრისით, რა კეთდება სწორად და რა – არასწორად?

– ყველა უშვებს შეცდომას, ყველა სამინისტრო, მაღალჩინოსანი, ბიზნესმენიც კი. მთელი საზოგადოება ყველაფერს აკეთებს, რომ ვიყოთ პირველები ვირუსის გავრცელების თვალსაზრისით. მხოლოდ სახელმწიფოზე გადაბრალება არასწორია, მოსახლეობის ბრალიცაა. პირბადეს ვინც არ იკეთებს, დისტანციას ვინც არ იცავს, ხალხმრავალ ადგილებს ვინც არ ერიდება – ყველა დამნაშავეა. ვაქცინის არგაკეთება არის პროტესტი ქვეყნის, ეკონომიკის, პოლიტიკური ისტებლიშმენტის წინააღმდეგ. დავიღალეთ, ეს 30 წელი, ერთი და იგივე „კაგებეშნიკები“ ტრიალებენ ერთი თანამდებობიდან მეორეზე. სოციალურ ქსელში კომენტარებზე დაკვირვებით შემიძლია, ვთქვა, რომ არის ბევრი საღი აზრის მქონე, პროგრესული ადამიანი, მაგრამ უმრავლესობა არაპროგრესულია და ამიტომ მივიღეთ არსებული შედეგი.

– ანტივაქსერულ მოძრაობაზე რა ინფორმაცია გაქვთ? ვინ დგას ყველაფერ ამის უკან და ვის აწყობს, რომ ადამიანებმა აირჩიონ გზა, რაც გადარჩენის ერთადერთ საშუალებაზე – ვაქცინაზე უარის თქმას ნიშნავს?

– არის ნაწილი, რომელიც ჩათრეულია ანტივაქსერულ სექტაში. ესენი არიან მსხვერპლი და სჭირდებათ დახმარება. ასევე, არიან ანტივაქსერების ე.წ. ლიდერები, რომლებიც ძალიან საშიში ხალხია. არაერთი სტატია დაიწერა და გამოძიება ჩატარდა, რომ ესენი არიან ჩვეულებრივი შარლატანი ბიზნესმენები, რომლებიც ცდილობენ, იშოვონ ფული. წინა კვარტალში, ანტივაქსერებმა მსოფლიოში მილიარდი იშოვეს სხვადასხვა გზით. ისინი თამაშობენ და მანიპულირებენ ადამიანების შიშით და ეს არა მარტო საქართველოში, არამედ, მთელ მსოფლიოში ხდება. რამდენიმე მიმართულება აქვთ – ერთნი თამაშობენ ადამიანების შიშზე, მათ შორის, რელიგიურზე და ამბობენ, რომ ვაქცინა ცუდია და მათ აქვთ „მაგიური გამოსავალი“. ზოგი ყიდის ბალახს, ტაბლეტს და სესიებსაც კი... ანუ ანტივაქსერულ მოწოდებებს იყენებენ, როგორც მარკეტინგულ გზას, რათა გამდიდრდნენ.

მეორე კატეგორია სოციალური ქსელის პოპულარული „ინფლუენსერები“ არიან, ისინი აგროვებენ აუდიენციას და ამ გზით შოულობენ ფულს და არის მესამე კატეგორია, რომელიც აგროვებს აუდიენციას და შემდეგ ყიდის, მაგალითად, რომელიმე პოლიტიკური პარტიისთვის. ასეთი რამ მოხდა საქართველოშიც, როცა გამოიყენეს კოვიდის თემა, შექმნეს ჯგუფი და შემდეგ ის ადამიანები აღმოჩნდნენ პოლიტიკური პარტიის წევრები. ეს ჯგუფი დაიბლოკა რამდენჯერმე.

– სოციალურ ქსელში „მედგიდის“ დაბლოკვას გულისხმობთ?

– დიახ, რად უნდა დამალვა, ეს ხომ ფაქტია? „მედგიდი“ არ არის ანტივაქსერული ჯგუფი, კარგ საქმეს აკეთებდა, მაგრამ ამ ჯგუფმაც კი ხელი შეუწყო ანტივაქსერულ განწყობებს, რადგან ადამიანი როცა გენდობა და უცებ ეუბნები, რომ პოლიტიკოსი ხარ... ანუ როცა პოზიციონირებ, როგორც დამოუკიდებელი ექიმი და ადამიანი გენდობა, შემდეგ კი ხდები პოლიტიკოსი, ირიბად თუ პირდაპირ, პოლიტიკურ მესიჯს აკეთებ, რაც არასწორია.

ანტივაქსერებს რაც შეეხება, ტიპური ქართული ვარიანტი შეიქმნა – სადაც მარგინალიზებული პოლიტიკური პარტია, იმპოტენტი პოლიტიკური ფიგურები, ნული პოლიტიკური რეიტინგის მქონე სუბიექტები მანიპულირებენ კოვიდით და ქმნიან ანტივაქსერულ განწყობას, ამით ცდილობენ, ხმები მიიღონ არჩევნებზე – ესაა მთელი სპექტრი ანტივაქსერებისა, კომპლექსი, რომელსაც ემატება რუსეთი და ჩინეთი, სადაც ცალკე პოლიტიკური თამაში მიმდინარეობს. რუსეთი ამბობს, რომ თავისი ვაქცინაა საუკეთესო, რომელმაც ვერც ერთი სტანდარტი და რეგულაცია ვერ დააკმაყოფილა და არავინ იცის, რისგანაა გაკეთებული ეს ვაქცინა.

და უკვე ძალიან მაგარი ამბავი: „ფაიზერმა“ აშშ-ის წამლის სააგენტოს სრული ავტორიზაცია მიიღო.

„ფაიზერმა“ 2 წელიწადში შეძლო ის, რასაც ადრე 5 წელი სჭირდებოდა. თანამედროვე ტექნოლოგიები და მეცნიერება სწრაფი პროგრესის საშუალებას იძლევა. სხვათა შორის, ე.წ. ტრადიციული მეთოდით გაკეთებული ვაქცინები, ჩვენს საუკუნეში უკვე ჩამორჩენილი მეთოდია.

დღევანდელი სიახლე ნიშნავს, რომ უკვე გვაქვს პირველი უსაფრთხო, ეფექტური და ოფიციალურად დამტკიცებული კოვიდსაწინააღდეგო ვაქცინა. ამით „ექსპერიმენტის“ თაობაზე ანტივაქსერების ისტერიას წერტილი დაესვა.

ვაქცინის დამტკიცება ნიშნავს, რომ აშშ-ის წამლის სააგენტომ ძირფესვიანად შეისწავლა ყველა კლინიკური კვლევის შედეგები და ეს ვაქცინა უსაფრთოდ და ეფექტირად აღიარა.

– სრული ავტორიზაცია რას ნიშნავს?

– ვინაიდან კოვიდპანდემია საომარი მდგომარეობაა და ვირუსი მილიონობით ადამიანს კლავს, წამლის სააგენტოებს აქვთ ორი საშუალება – უმკაცრესი პროცესია, როცა ამბობენ, რომ ეს წამალი კარგია, ეს კი – ცუდი. ასევე, არის დროებითი მოხმარება, როცა გეუბნებიან, რომ ეს წამალი არის უსაფრთხო, მაგრამ რამდენად ეფექტურია, ამაზე კვლევა კიდევ მიმდინარეობს. ყველა კოვიდვაქცინა, რომელიც მსოფლიოში აღიარებულია, არის გადაუდებელი მოხმარების, უსაფრთხო, მაგრამ რამდენად ეფექტურია, ბოლომდე შესწავლილი არაა. ახლა კი „ ფაიზერმა“ გაიარა ყველა ეს ეტაპი და დღეს ან ხვალ მიიღებს სრულ ავტორიზაციას, რაც ნიშნავს, რომ ეს წამალი არის არა მხოლოდ უსაფრთხო, არამედ, ეფექტურიც და ზღაპრები, რომელსაც ანტივაქსერები ჰყვებიან, რომ ექსპერიმენტის ნაწილი ვართ, არის დახურული თემა.

– ბატონო გიორგი, საზოგადოება ელოდება წამალს COVID-19-ის წინააღმდეგ. რა ინფორმაცია გაქვთ, ჩანს რაიმე იმედი ამ კუთხით?

– მსოფლიოში 300-ზე მეტი კანდიდატი ვაქცინა და 200-ზე მეტი კანდიდატი წამალი არსებობს. ძალიან დიდი პროგრესია, ასეთ მოკლე პერიოდში, მედიცინაში ამხელა პროგრესი არასდროს ყოფილა. იმდენი ფული და რესურსი ჩაიდო, რომ ვაქცინა და წამლები გვქონოდა, ამის შედეგს დავინახავთ რამდენიმე წელიწადში და ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი არის აივ-ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინაზე მუშაობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი და წინგადადგმული ნაბიჯია. რაც შეეხება კოვიდის საწინააღმდეგო მედიკამენტს, ახლაც არის 6 წამალი, რომელიც ევროკავშირმა გადაუდებელი მოხმარებისთვის დაამტკიცა. წლის ბოლომდე გვექნება კარგი კოლექცია, 10-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის წამალი გამოჩნდება. მეტიც, წლის ბოლომდე, შეიძლება, ახალი ვაქცინებიც გამოჩნდეს.

მოდით, ასე ვთქვათ – დღეს უკვე ვიცით, როგორ ვმართოთ პანდემია. წამალიც გვაქვს, ჩვენთან უკვე არის ყველაზე ეფექტური ვაქცინა მსოფლიოში და კითხვა მაქვს – რატომ უნდა დალიო წამალი ავად გახდომის შემდეგ, როცა შეგიძლია, გაიკეთო ვაქცინა, რომელიც დაგიცავს ავად გახდომისგან? წარმოიდგინეთ ჩვენი საზოგადოების აბსურდულობა, როცა ამბობს, არ მინდა ვაქცინის გაკეთება და ველოდები წამალსო. ლოგიკას ვერ ვხედავ, რადგან წამალი უკვე გვაქვს, ვაქცინის სახე ექნება თუ აბის, რა მნიშვნელობა აქვს? – ესაა სამედიცინო საშუალება, რომელიც მუშაობს და რადგან ექიმი გეუბნება, უნდა მიიღო. ისე, დღეს ყველა ექიმი და პროფესორი გახდა.

დასასრული მე-6 გვერდზე

როგორ შოულობს ანტივაქსერების მაფია ფულს

მე-5 გვერდიდან

– საქართველოში სულ ასე არ იყო?

– კი. ერთი კინოკრიტიკოსი მიყვარს ძალიან და მანაც კი კოვიდზე დაიწყო ლაპარაკი. მის გადაცემას ვუსმინე, არაადეკვატურად საუბრობდნენ და ტექნიკურად ბევრ შეცდომასაც უშვებდნენ. საერთოდ, როგორი განათლებული, ცნობილი და კარგიც უნდა იყო და თუნდაც კარგი განზრახვა გქონდეს, არ უნდა გააკეთო, რადგან არაა ეს შენი საქმე.

– ბატონო გიორგი, 12 წლის მოზარდების ვაქცინაციასთან დაკავშირებით, ჯანმო-სგან რა გადაწყვეტილებას ელოდებით? შეიძლება, საქართველოშიც მალე ჩაერთონ მოზარდები ვაქცინაციაში?

– საქართველო არაა აფრიკა და აზია, საქართველო არის ევროპა და გამაგებინეთ, რატომ არ ვაკეთებთ ყველაფერს ისე, როგორც ევროპაშია? ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია უყურებს მთელ მსოფლიოს, როგორც მდიდარ, ასევე, ღარიბ ქვეყნებს და ჩემთვის არაა მისაღები ის, რაც მოზამბიკში ხდება. სამაგიეროდ, არის რეგიონალური ორგანიზაციებიც და რაც ევროკავშირშია მიღებული, გავაკეთოთ ისე. ევროპა კი 12 წლიდან უკვე ცრის მოზარდებს „ფაიზერით“.

– რა მოლოდინი გაქვთ, საქართველოც მიიღებს ამ გადაწყვეტილებას?

– კი. ისინი ჯიუტი ბავშვებივით იქცევიან, რასაც ვამბობ, იმას აკეთებენ, ოღონდ 2-3 კვირის დაგვიანებით. ვაქცინაციის საბჭოში ბევრი სპეციალისტია, რომელიც თავის საქმეში გამოჩენილია, მაგრამ ვაქცინაციის საქმეში არც ერთი მათგანი არაა ექსპერტი. არიან საქართველოში ადამიანები, რომლებსაც ამ სფეროში აქვთ გამოცდილება ჩემსავთ, მაგრამ ამ საბჭოში არ არიან და მიჩნდება კითხვა – რატომ?... პროფესიონალიზმის ნაკლებობა ღუპავს ჩვენს ქვეყანას, მეტი კი არაფერი. რატომ ვიგონებთ ახალ ბორბალს? თქვი, რომ რაც გააკეთა საფრანგეთმა, გავაკეთებ იმას და მორჩა! გვაქვს კომუნიკაციის საშუალებები, ბოლოს და ბოლოს, ფრანგი პრეზიდენტი გვყავს, გამოვიყენოთ ყველა გზა! ჩვენს ქვეყანაში ყველას უნდა, პრეზიდენტი იყოს, მაგრამ რომ შეეკითხო, არაფერი იციან და დებატებს გიწყებენ.

– რა რეკომენდაციები გაქვთ სწავლის დაწყებასა და არჩევნებთან დაკავშირებით, ამ მძიმე პანდემიურ ფონზე?

– საქართველოს მთავრობა არის მსხვერპლი, ვინაიდან ვერაფერს გააკეთებს. არჩევნებმა დაასამარა ყველაფერი, რაც უნდა გაკეთებულიყო. როცა მეორე ტალღა დაიწყო ივლისში, ქვეყანა უნდა ჩაეკეტათ 3 კვირით, შეეჩერებინათ ტალღა და შემდეგ გაეგრძელებინათ ღონისძიებები. ჩვენებმა კი ბოლო რეგულაციებიც კი მოხსნეს იმიტომ, რომ არჩევნები იყო. მთავრობა ქვეყანას ვერ დაკეტავს არჩევნებამდე, 100 ადამიანი რომ გარდაგეცვლება დღეში და ქვეყანას არ კეტავ, წარმოგიდგენიათ?! იმიტომ ვერ კეტავს, რომ ოპოზიცია იტყვის, წინასაარჩევნოდ სპეციალურად დაკეტესო. არჩევნებსაც რომ ჩაატარებენ ოქტომბერში, ეპიდემიის ფონზე, მაინც ვერ ჩაკეტავენ იმიტომ, რომ იტყვიან, პოლიტიკურად ანგაჟირებული ჩაკეტვაა ანუ პრაქტიკულად, ოპოზიციაცაა დამნაშავე და მთავრობაც. ყველა პოლიტიკოსი, ვინც მონაწილეობს არჩევნებში, მონაწილეობს ამ მკვლელობაში, რადგან ერთი-მეორეს ჯინაზე იქცევიან და არც ერთი ფიქრობს ჩვეულებრივ მოქალაქეებზე. დაავადებათა კონტროლის ცენტრს ჩემზე უფრო მეტი ინფორმაცია აქვს და იცის, რომ სიკვდილიანობის დღიური მაჩვენებელი ორჯერ უნდა გაამრავლო, რომ რეალური სურათი მიიღო. ჩემზე უკეთ იციან ეს, მაგრამ პოლიტიკის გამო ხმას ვერ იღებენ.

მოქალაქეებს მივმართავ – სამედიცინო პირბადე ყველგან, დისტანცია ყველგან და ყოველთვის. სანამ არის საშუალება, გამოიყენეთ და აიცერით „ფაიზერის“ ვაქცინით. უნდა აიცრან ფეხმძიმე ქალები, მეძუძური დედები, ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანები, „ცე“-ჰეპატიტით დაავადებულები, მეტადონის პროგრამის ბენეფიციარები, წამალდამოკიდებული ადამიანები აუცილებლად უნდა აიცრან. ფილტვების, გულის პრობლემა ვისაც აქვს, დიაბეტი, ალერგია, აუცილებლად უნდა აიცრან. ქრონიკული დაავადება ვისაც აქვს, უნდა აიცრას, რადგან ვირუსი დაეტაკება ზუსტად იმ დაავადებაზე. სკოლა უნდა იყოს ყველაზე უსაფრთხო, რადგან ბავშვებისთვის ვაქცინაცია ჯერ არ გვაქვს. სწავლა უნდა გადაიწიოს პირველ ნოემბრამდე, არ ვართ მზად და კიდევ ერთი აფეთქება მოხდება. სკოლის პერსონალის 100% უნდა იყოს აცრილი, დაწყებული მანდატურით და დამთავრებული დამლაგებლით, რათა ბავშვები იყვნენ დაცულები. სკოლებში უნდა იყოს ადეკვატური ვენტილაცია და სანიტარული კვანძებიც უნდა მოწესრიგდეს. სკოლებში ბავშვების რაოდენობა უნდა შემცირდეს ანუ შერეულ სწავლებაზე უნდა გადავიდეთ. კი, ძვირია, მაგრამ ბავშვის სიცოცხლეზე ძვირი, დედამიწაზე, არაფერია და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ გადავარჩინოთ ბავშვების სიცოცხლე.

თამარ გაბუნია: „სამგორის საველე ჰოსპიტალის რეზერვი რჩება სათადარიგო სიაში“

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის თამარ გაბუნიას განცხადებით, სამგორის საველე ჰოსპიტალის რეზერვი სათადარიგო სიაში რჩება.

მისივე განმარტებით, თუკი საჭირო იქნება, რა თქმა უნდა, მისი გამოყენებაც მოხდება.

„სამგორის საველე ჰოსპიტალში გარკვეულწილად მობილიზებულია სარეზერვო საწოლები, თუმცა საველე ჰოსპიტლის მობილიზება მხოლოდ ინფრასტრუქტურულ მზაობას არ ნიშნავს. ამდენად, ადამიანური რესურსი კონცენტრირებულია იმ პირობებში, სადაც დღეს არის უკეთესად შექმნილი მოვლის შესაძლებლობა.

დამატებით ერთი სივრცე გაიხსნა ქავთარაძეზე, რომელიც ინფრასტრუქტურულად სრულად გამართულია. ამდენად, გარკვეულწილად, სამგორის მოსალოდნელი რეზერვი ჩაანაცვლა ქავთარაძის ჰოსპიტალმა. სამგორის რეზერვი რჩება სათადარიგო სიაში და რა თქმა უნდა, თუკი საჭირო იქნება, მისი გამოყენებაც მოხდება. რა თქმა უნდა, ჯანდაცვის სისტემის რესურსი უკვე ძალიან შეზღუდულია. ამაზე არაერთხელ ვისაუბრე, რომ 8 000 საწოლი თავისი ადამიანური რესურსით არის გარკვეულწილად ის შესაძლებლობა, რაც ჩვენ შეგვიძლია ამ შემთხვევაში გამოვძებნოთ.

ეს რესურსი მობილიზებულია, ჰოსპიტლები ცდილობენ დამატებითი რესურსის მობილიზებას, იმ ხარჯზე რომ შეჩერებულია გეგმური ჩარევები. რაც შეეხება დამატებითი სივრცეების მობილიზებას, გეგმის მიხედვით არის გარკვეული მოსაზრება, რომ იყოს ჰოსპიტლებთან ახლოს. ჯერჯერობით დიდ ქალაქებში, ბათუმში, ქუთაისში ხდება დამატებითი ჰოსპიტალების ჩართვა“, – აცხადებს თამარ გაბუნია.

„ჰოთნიუსი“

ამირან გამყრელიძე: „ამ მაჩვენებლებით, დასწრებული სწავლის დაწყების რეკომენდაციას ვერ გავცემთ“

„დღევანდელი სიტუაციით და ამ მაჩვენებლებით დაავადებათა კონტროლის ცენტრი რეკომენდაციას, რა თქმა უნდა, ვერ გასცემს დასწრებული სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით. ჩვენ ვთქვით, რომ დადებითობის მაჩვენებელი უნდა ჩამოვიდეს სადღაც 4%-ზე დაბლა და მასწავლებელთა და სკოლაში მომუშავე პერსონალთა 80% უნდა იყოს აცრილი, რომ რეკომენდაცია გაიცეს დასწრებულ სწავლასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, დაუსწრებელი ე.წ. დისტანციური სწავლება დაიწყება იმის მიხედვით, როგორც გადაწყვეტს ამას განათლების სამინისტრო“, – აცხადებს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი, ამირან გამყრელიძე.

„ჰოთნიუსი“

გაფლანგული ბიუჯეტი და კორუფციული გარიგების რისკები ჭიდაობის ფედერაციაში

მაია მიშელაძე
593-51-90-12

აუდიტის სახელმწიფო სამსახურის მორიგი სკანდალური დასკვნა

ტოკიოს ოლიმპიადაზე ქართველი სპორტსმენების წარმატებული გამოსვლის მიუხედავად, აუდიტის სახელმწიფო სამსახური „საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციით“ დაინტერესდა. აუდიტი, რომელიც უწყებამ გამოაქვეყნა, ფედერაციის 2017-2019 წლების საქმიანობას ეხება. მართალია, მოჭიდავეებმა სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებზე და პანდემიის პირობებში, თანაც კოვიდრეგულაციების დაცვით, თავი არც ტოკიოს ოლიმპიადაზე შეირცხვინეს, მაგრამ ფედერაციის საქმიანობაში საკმაოდ სერიოზული ხარვეზები აღმოჩნდა. პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, ეს ხარვეზები და გადაცდომები საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად ხარჯვას უკავშირდება ანუ უხეშად რომ ვთქვათ, ამას სახელმწიფო ბიუჯეტის ფლანგვა ჰქვია.

ხარვეზები შესყიდვებში

ვიდრე იმ ხარვეზებს გაგაცნობთ, რაც სახელმწიფო აუდიტორებმა „ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაში“ აღმოაჩინეს, უნდა გითხრათ, რომ ააიპ „საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია“ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილი კერძო სამართლის არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირია, რომელიც საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „სპორტის შესახებ საქართველოს კანონის“, ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანება – UWW-ისა და ფედერაციის წესდების შესაბამისად.

ფედერაციის საქმიანობის ძირითადი მიზნებია ქვეყანაში ჭიდაობის განვითარება-პოპულარიზაცია, მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, სპორტსმენთა მომზადების სისტემის სრულყოფა, პროფესიონალ სპორტსმენთა მომზადება, საქართველოს ნაკრები გუნდების წარმატებით გამოსვლის უზრუნველყოფა ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, აგრეთვე, საერთაშორისო შეჯიბრებებსა და ტურნირებში.

წესდების თანახმად, ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოებია: ყრილობა, პრეზიდიუმი და სამეთვალყურეო საბჭო. ყრილობებს შორის ფედერაციის საქმიანობას წარმართავს და ხელმძღვანელობს ფედერაციის პრეზიდიუმი. პრეზიდენტი ფედერაციის უმაღლესი აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი პირია.

2017-2019 წლებში, ფედერაციის ეგიდით, სულ 412 საერთაშორისო და ადგილობრივი სპორტული ღონისძიება/ტურნირი ჩატარდა. 2017-2019 წლებში, ფედერაციის შემოსავლები 20 497 172 ლარი იყო, აქედან საბიუჯეტო დაფინანსება – 20 061 101 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლები – 436 071 ლარი.

ახლა ვნახოთ, კონკრეტულად რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა სახელმწიფო შესყიდვებში, რომელსაც ფედერაცია ახორციელებდა. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების შესყიდვისას, მიმწოდებელ კომპანიებს ფედერაცია ბაზრის კვლევის ანუ ალტერნატიული შეთავაზებების განხილვა/შეფასების გარეშე არჩევდა. ერთი შეხედვით, შესაძლოა, მავანს ეს ფინანსური ხელმძღვანელების მექანიკური შეცდომა ჰგონია, მაგრამ მიმწოდებელ კომპანიებს რომ ბაზრის კვლევის გარეშე არჩევდნენ, სწორედ აქ ჩნდება კორუფციული გარიგების ნიშნები.

„სპორტსმენთა ტექნიკური, ტაქტიკური და ფუნქციონალური დონის ამაღლების მიზნით ჩატარებულ შეკრებებზე, ბიუჯეტიდან გამოყოფილი 7 958 212 ლარიდან, 3 096 497 ლარი გადახდილია ბაზრის კვლევის გარეშე შერჩეულ, ბორჯომში, სასტუმრო-სპორტულ კომპლექს „ოლიმპის“ ბაზაზე განხორციელებულ შეკრებებზე გაწეული მომსახურებისათვის“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორების კომპეტენციას სცილდება იმის მტკიცება, რომ ფედერაციასა და სასტუმრო-სპორტულ კომპლექს „ოლიმპს“ შორის კორუფციული გარიგება შედგა ან კიდევ უფრო უარესი – შესაძლოა, ეს სულაც საბიუჯეტო სახსრების „ატკატია“. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ნაწილი მნიშვნელოვანია და განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ სასტუმრო მომსახურებაზე მიმწოდებელ კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, დაუსაბუთებელია მომსახურების ერთეულის ღირებულებები; არ არის გათვალისწინებული მიწოდებული მომსახურების ხარისხის ინსპექტირების მექანიზმი, არ არის შეთანხმებული მენიუ და მისი ღირებულება.

„ხშირად, შეკრებებში მონაწილე სპორტსმენების მიერ ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მომსახურების მიღება შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ დაუდასტურებელია. 2017-2019 წლებში, შეკრებებზე სპორტსმენების ფაქტობრივად ყოფნის დღეებიდან გამომდინარე, ზედმეტად გადახდილმა სასტუმრო მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 33 235 ლარი“.

ხარვეზები აღმოჩნდა ავიაბილეთების შესყიდვებშიც. კერძოდ, სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, 2017-2019 წლებში, ფედერაციამ 10 სხვადასხვა კომპანიისგან 2 703 621 ლარის ღირებულების ავიაბილეთები შეიძინა. აქედან, 1 232 267 ლარის ბილეთები ბაზრის კვლევის გარეშე, სპეციალურად ამ კონკრეტული შესყიდვის გამო დაფუძნებული შპს „თაგ ჯორჯიასთან“, რომელიც სამეწარმეო რეესტრში ოფიციალურად მხოლოდ ამ ტენდერის შემდეგ დარეგისტრირდა!

მეტიც, სახელმწიფო აუდიტორებმა ისეთი შემთხვევებიც გამოავლინეს, როდესაც ფედერაციის მიერ მომსახურე კომპანიებისგან შესყიდული ავიაბილეთების ღირებულებები არსებითად განსხვავდება სხვა ორგანიზაციების მიერ ანალოგიურ პერიოდში, ამავე მიმართულებით შესყიდული ავიაბილეთების ღირებულებებისგან.

მედიკამენტები და საკვები დანამატები

სახელმწიფო აუდიტის შედეგად ისიც გაირკვა, რომ მედიკამენტებისა და საკვები დანამატების საჭიროების განსაზღვრისა და ხარჯვის პროცესში, კონტროლის მექანიზმები არ არსებობდა, რამაც ფულადი სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის რისკი შექმნა.

„შესასყიდი მედიკამენტებისა და დანამატების მოცულობა, ასევე, ნომენკლატურული სტრუქტურა შესაბამისი პროფილის სპეციალისტის დასკვნის საფუძველზე არ არის განსაზღვრული; მოჭიდავეთა ფიზიკური მონაცემებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების საფუძველზე არ არის დადგენილი საკვები დანამატებისა და მედიკამენტების ხარჯვის/გამოყენების ნორმები; მოჭიდავეებზე მედიკამენტებისა და დანამატების გაცემის ფაქტი დოკუმენტურად არ დასტურდება; ხშირად, მედიკამენტები და საკვები დანამატები ჩამოიწერება არა საწვრთნელი შეკრების დასრულების შემდეგ, ფაქტობრივი ხარჯვიდან გამომდინარე, არამედ, შეკრებამდე, მიმწოდებლის მიერ გამოწერილი ზედდებულის საფუძველზე“.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ წლის განმავლობაში შესყიდული მედიკამენტებისა და საკვები დანამატების ჩამოწერა სრულად მიმდინარეობს, მაგრამ ამის მიუხედავად, წლის ბოლოს, ფაქტობრივი ნაშთი არ ფიქსირდება. შემთხვევების არსებითი ნაწილის მიხედვით ჩამოწერა დადასტურებულია არა გუნდის ექიმის, არამედ, კომპეტენციის თვალსაზრისით არაუფლებამოსილი პირების – მწვრთნელისა და მენეჯერის მიერ.

ხარვეზები შრომის ანაზღაურებაში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ სპორტსმენების მიერ, წლის განმავლობაში მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან პრემიებისა და ფულადი ჯილდოს სახით გამოყოფილი ფულადი თანხები ადმინისტრაციულ პერსონალზე გამჭვირვალედ არ გაუნაწილებიათ. მეტიც, აუდიტორებმა ისეთი შემთხვევებიც გამოავლინეს, როდესაც პრემიები, ფედერაციაში რამდენიმე თვის სამუშაო სტაჟის მქონე პიროვნებებზეც კი გასცეს.

„ფედერაციაში დანერგილი კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს საქართველოში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილე უცხოელ სტუმართა რეგისტრაციის, მათ მიერ გადახდილი სასტუმრო მომსახურების ღირებულების, მისაღები შემოსავლის (სარგებლის სახით) სისრულისა და უცხოელ სტუმრებზე გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობის შესახებ სარწმუნოობას.

შესამოწმებელ პერიოდში, წესდებით გათვალისწინებული სამეთვალყურეო საბჭოს მიერ არ განხორციელებულა ფედერაციის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმება და ფინანსური ანგარიშგების მომზადება-განხილვა“.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ ძირითადი საშუალებისა და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია არასრულყოფილად ჩატარდა. კერძოდ, მხოლოდ მატერიალურ ფასეულობათა ფაქტობრივი აღწერები სააღრიცხვო მონაცემებთან შედარების გარეშე შემოწმდა, დაზიანების შემთხვევები კი არ შეუმჩნევიათ, ამიტომ ეს შემთხვევები შესაბამისი რეაგირების გარეშე დარჩა.

2022 წლიდან ინვესტიციები გაიზრდება

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშის მიხედვით, 2022 წლიდან, ინვესტიციები გაიზრდება. ანგარიში, რომელიც ქვეყნის მთავარმა ბანკმა გამოაქვეყნა, რეალურად, მაკროეკონომიკური საპროგნოზო სცენარებია. რასაკვირველია, ამ სცენარებში, ეკონომიკური ცვლადების დინამიკა ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებით – COVID-19-ის გავრცელებითა და ვაქცინაციითაა განსაზღვრული.

საქართველოს ეროვნული ბანკის დამაიმედებელი პროგნოზი

დავიწყოთ საბაზო სცენარით, რომლის მიხედვითაც, ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობა უკვე მიმდინარე წლიდან აღდგება, მაგრამ ეტაპობრივად. ეს კი გაფართოებულმა ვაქცინაციამ და ამის შედეგად, პანდემიის გავრცელების კონტროლმა უნდა გამოიწვიოს. უფრო ზუსტად, მთავარი მესიჯი ასეთია: ვაქცინაციას პანდემიის კონტროლი უნდა მოჰყვეს, რაც ეკონომიკურ აქტივობას შეუწყობს ხელს. მეტიც, ეპიდემიოლოგიური ვითარების გაუმჯობესება და გლობალური ეკონომიკის სწრაფი გაჯანსაღება საერთაშორისო სავაჭრო და ტურისტული ნაკადების ეტაპობრივ აღდგენასაც შეუწყობს ხელს:

„საბაზო პროგნოზის მიხედვით, 2021-2022 წლებში, წინა პროგნოზთან შედარებით, გლობალური ეკონომიკური აქტივობა იზრდება. ეს განვითარებულ ქვეყნებში განხორციელებული უპრეცედენტო ზომის ფისკალური მხარდაჭერის პროგრამებისა და გაუმჯობესებული ეპიდემიოლოგიური ვითარების პირობებში, მზარდი სამომხმარებლო ხარჯების შედეგია. მსოფლიოში წამყვანი ცენტრალური ბანკები ეკონომიკის აღდგენის მხარდასაჭერად შერბილებული მონეტარული პოლიტიკის გატარებას განაგრძობენ, რაც ფედერალური სარეზერვო სისტემისა და ევროპის ცენტრალური ბანკის მინიმუმამდე შემცირებულ საპროცენტო განაკვეთებსა და აქტივების მასობრივი შესყიდვების პროგრამებში გამოიხატება. თუმცა, საგულისხმოა, რომ ბოლო პერიოდში, გაზრდილი ეკონომიკური აქტივობის კვალდაკვალ, ინფლაციის ზრდის ნიშნები გამოიკვეთა, რამაც განვითარებულ ქვეყნებში, შესაძლოა, მონეტარული პოლიტიკის ნორმალიზაციის პროცესი დააჩქაროს, რაც გლობალური ფინანსური პირობების გამკაცრებისკენ უბიძგებს და უარყოფითად აისახება მზარდი და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე, რომლებშიც ეკონომიკის გაჯანსაღების ტემპები შედარებით დაბალია“, – ვკითხულობთ ანგარიშში.

საბაზო სცენარის მიხედვით, ეპიდემიოლოგიური ვითარების სტაბილიზაციის შედეგად, მიმდინარე წლიდან, ეკონომიკური აქტივობა საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებშიც იზრდება, რასაც საინვესტიციო და სავაჭრო ნაკადების ზრდა მოჰყვება. მზარდია ფულადი გზავნილების დინამიკაც. 2021 წელს, ქვეყნებს შორის ცვალებადი ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო, საერთაშორისო ტურისტული ნაკადების მხოლოდ ნაწილობრივი აღდგენაა მოსალოდნელი, სრულად მომავალი წლიდან გაუმჯობესდება და ტურისტული ნაკადებიც აქტიურად აღდგება. საშუალოვადიან პერიოდში, ამ პროცესს ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის სტაბილურობაც მოჰყვება.

„ამასთან, სტაბილურია აშშ დოლარის მიმართ ლარის ნომინალური გაცვლითი კურსიც. ეკონომიკური ზრდისა და სტაბილური გაცვლითი კურსის პირობებში კი, არსებული საგარეო ვალის ტვირთი მცირდება. საბაზო პროგნოზის მიხედვით, 2021 წელს, ეკონომიკური აქტივობა 8.5%-ით გაიზრდება. ეკონომიკის გაჯანსაღებას, ძირითადად, ადგილობრივი მოთხოვნა განაპირობებს, რასაც წლის განმავლობაში მოსალოდნელი ფისკალური სტიმულის გაგრძელება და საკრედიტო ზრდა შეუწყობს ხელს. მიმდინარე წელს, ადგილობრივი მოთხოვნის ძლიერი ზრდა, მომხმარებელთა და ბიზნესის გაუმჯობესებულ განწყობასთან ერთად, პანდემიის პერიოდში გადავადებული მოთხოვნის ეფექტს ასახავს“.

ეროვნული ბანკის ანგარიშის მიხედვით, 2022 წლიდან, პანდემიასთან დაკავშირებული გაურკვევლობის შემცირების კვალდაკვალ, საგარეო მოთხოვნა და საინვესტიციო აქტივობა მნიშვნელოვნად მოიმატებს, თუმცა ეკონომიკური ზრდის წამყვან ფაქტორად კვლავ შიდა მოთხოვნა რჩება. ეკონომიკური აქტივობის გაუმჯობესებას დასაქმების ზრდა მოჰყვება. შესაბამისად, უმუშევრობის დონე წლის დასაწყისში არსებული გაზრდილი დონიდან ეტაპობრივად შემცირდება.

„საბაზო სცენარის თანახმად, 2021 წელს, ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებლზე მაღლა შენარჩუნდება, რასაც საერთაშორისო ბაზარზე მკვეთრად მომატებული სასაქონლო პროდუქტების ფასები განაპირობებს. საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობისა და საკვები ნედლეული პროდუქტების ფასების ზრდას დაერთო კომუნალური ხარჯების ზრდიდან მომდინარე დამატებითი ინფლაციური წნეხი. მოსალოდნელია, რომ ინფლაციაზე ზრდის მიმართულებით მოქმედი დროებითი ფაქტორების ამოწურვასთან ერთად, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის პირობებში, 2022 წლიდან ინფლაცია შემცირებას დაიწყებს და საშუალოვადიან პერიოდში, სამიზნე მაჩვენებელს დაუახლოვდება“.

მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებული რეჟიმიდან გამოსვლის ტემპი ინფლაციური მოლოდინების შემცირებაზე იქნება დამოკიდებული. მოსალოდნელია, რომ ინფლაციური მოლოდინების შემცირებასთან ერთად, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთიც ეტაპობრივად შემცირდება და საშუალოვადიან პერიოდში, ნეიტრალურ დონეს დაუახლოვდება.

მარიამ ქვრივიშვილი: „ყველა გიდი, რომელიც ორჯერადად ვაქცინირებული იქნება, უსასყიდლოდ ისარგებლებს სახელმწიფო სერვისებით“

„ყველა გიდი, რომელიც ორჯერადად ვაქცინირებული იქნება, უსასყიდლოდ ისარგებლებს სახელმწიფო სერვისებით, მათ შორის, ისეთიც, როგორიც არის მუზეუმი, დაცული ტერიტორიები, ზამთრის კურორტებზე არსებული საბაგიროები“, – ამის შესახებ ეკონომიკის მინისტრის მოადგილე მარიამ ქვრიშვილმა განაცხადა.

მისივე თქმით, მათ ტურიზმის სფეროში დასაქმებული ადამიანებისთვის ვაქცინირების სტიმულირების პაკეტის პროექტი შეიმუშავეს.

„უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ დარგში დასაქმებული ადამიანების უმეტესობა იყოს ვაქცინირებული. სწორედ ამიტომ ჩვენ რამდენიმე მიმართულებით დავყავით სტიმულირების პაკეტის პროექტი. პირველ რიგში მოგახსენებთ, რომ ყველა გიდი, რომელიც სრული ორი დოზით იქნება ვაქცინირებული, მომდევნო ორი თვის განმავლობაში, სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდში ისარგებლებს სახელმწიფო სერვისებით, მათ შორის, ისეთით როგორიც არის მუზეუმი, დაცული ტერიტორიები, ზამთრის კურორტებზე არსებული საბაგიროებით სრულიად უსასყიდლოდ.

ეს ნიშნავს იმას, რომ ყველა გიდს, რომელსაც აქვს სრული ვაქცინაცია ჩატარებული, ისინი ამ ობიექტებზე შევლენ სრულიად უსასყიდლოდ“, – განაცხადა ქვრიშვილმა.

„ჰოთნიუსი“

სამართალი

№30 25 აგვისტო 2021 წ

თბილისში ცნობილი გინეკოლოგი მოკლეს

ბათო ჯაფარიძე

ნებისმიერი ოჯახისთვის შვილის დაბადება განსაკუთრებული მოვლენაა. მუდმივი ჭიდაობაა ქართველ მამაკაცებს შორის, რომ ერთს ბიჭი ჰყავს, მეორეს – გოგონები და ბიჭის მოლოდინშია... სამწუხაროდ, იშვიათია შემთხვევა, როცა მამაკაცი მესამე, მეოთხე და მეხუთე შვილს იმის გამო აჩენინებს მეუღლეს, რომ გოგონა უნდა, პირიქით კი ხშირად ხდება – ბიჭის „ძებნაში", ოჯახებში 3, 4, 5 და მეტი გოგონა არცთუ იშვიათია.

„1979 წელს, თბილისის ერთ-ერთი სამშობიარო სახლის გინეკოლოგი კაცი ავტომანქანამ გაიტანა. ის საღამოს შინ მიდიოდა, დაღმართზე, მძღოლის გარეშე დაგორებულმა სატვირთომ დაარტყა და ადგილზე მოკლა, მაგრამ ექსპერტები ამბობდნენ, ეს უბედური შემთხვევა არ იყოო. მათ მოსაზრებას ერთი გარემოება ამყარებდა: ავტომობილი იმ ადგილიდან რომ დაგორებულიყო, სადაც იდგა, სულ სხვა მხარეს უნდა წასულიყო და ექიმს არ დაჯახებოდა, მაგრამ როგორც ჩანს, ვიღაცამ შეგნებულად მოუხვია იმ მონაკვეთზე და იმ ვიღაცას ისე ჰქონდა საჭე გაწმენდილი, რომ ნამდვილი მძღოლის ანაბეჭდებიც კი წაშლილი იყო", – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

რაღა თქმა უნდა, გამომძიებლები გინეკოლოგის სამსახურით დაინტერესდნენ. სამწუხაროდ, მაშინ ბავშვების შეცვლის ანუ იმის თქმის შემთხვევა, რომ ახალშობილი გარდაიცვალა, არცთუ იაშვიათი იყო. რეალურად კი, ახალშობილებს ყიდდნენ...

მოკლედ, გაჩნდა ეჭვი, რომ ამგვარი რამ მოხდა, სხვაგვარად, 50 წელს გადაცილებული კაცი, წესით, არც სასიყვარულო ისტორიაში უნდა გახვეულიყო და არც კრიმინალური გარჩევის მსხვერპლი გამხდარიყო. რა თქმა უნდა, სამშობიარო სახლის ყველა თანამშრომელმა პირში წყალი ჩაიგუბა. ასეთ დროს, გამომძიებლები, როგორც წესი, ყველაზე დაბალ რგოლთან მიდიან, რადგან ამ რგოლს სათქმელიც ბევრი აქვს და არც არაფრის ეშინია იმიტომ, რომ „დიდ საქმეებში" არავინ ახედებს.

„ორი კვირის წინ, აქ ჩხუბი მოხდა. გინეკოლოგი არაფერ შუაშია, ერთმა ქალმა შავი ბავშვი გააჩინა, ზანგი (მაშინ ტერმინი ფერადკანიანი არ გამოიყენებოდა). ქმარმა სკანდალი მოაწყო, ცოლს აგინა და უთხრა, რომ განქორწინებაზე შეიტანდა საბუთებს", – თქვა სანიტარმა.

საქართველოში, 70-იანების მიწურულს, ფერადკანიანი ბავშვის გაჩენას, დაახლოებით, ატომური ბომბის აფეთქების ეფექტი ჰქონდა. მაშინ ბავშვის გაჩენა კი არა, ზოგადად, ფერადკანიანი ადამიანის ხილვა იყო უდიდესი მოვლენა, ამიტომ სამართალდამცავებს არ გასჭირვებიათ არც ოჯახის ნახვა, არც იმ ფერადკანიანის ვინაობის დადგენა, ვინც შეიძლებოდა, ბავშვის პოტენციური მამა ყოფილიყო. მაშინ საქართველოში ოფიციალურად ორი (?!) ფერადკანიანი იმყოფებოდა, ერთი საფრანგეთის საელჩოს თანამშრომელი იყო, მეორე – აფრიკული მისიის წარმომადგენელი. ეჭვი საფრანგეთის საელჩოს თანამშრომელზე მიიტანეს. პარალელურად, ნახეს ის ქალი, რომელმაც ფერადკანიანი ბავშვი გააჩინა და გამომძიებლებს ერთი გაოცება კიდევ ელოდათ – კარი ქმარმა გაუღო, იმან, რომელმაც სკანდალი მოაწყო და განქორწინებით იმუქრებოდა.

„რა თქმა უნდა, შოკში ვიყავი. მე და ჩემს მეუღლეს საბავშვო ბაღიდან გვიყვარს ერთმანეთი და მოულოდნელად ასეთი დარტყმა. მერე, ცივ გონებაზე რომ გავაანალიზე ყველაფერი და ამას ერთი კვირა მოვუნდი, ცოლთან მივედი და ბავშვი კიდევ ერთხელ ვნახე. ცოლმა მითხრა, ეს ბავშვი არც შენია და არც – ჩემი, ასე მგონია, შეგვიცვალეს და მოდი, ანალიზები გავაკეთოთო. მივედით გინეკოლოგთან, რომელიც რაღაც ჰორმონებსა და სისულეელებზე გვესაუბრა და შეეტყო, რომ რაღაცას მალავდა. ანალიზები ჩავაბარეთ. პასუხს ველოდებით და გვჯერა, ეს ჩვენი შვილი არაა", – განაცხადა წყვილმა.

სამართალდამცავები საფრანგეთის მოქალაქის სანახავად წავიდნენ, ადვილად მიაგნეს და მან არ დამალა, რომ კავშირი ჰქონდა ქართველ ქალთან, თუმცა სურათზე ვერ ამოიცნო ის ქალი, რომელსაც ბავშვი გაატანეს. სამაგიეროდ, ზუსტად იცოდა, სად ცხოვრობდა და გამომძიებლებიც ახლა ამ ქალს დაადგნენ. მან აღიარა „უპატიებელი შეცდომა", რომ კავშირი დაამყაარა უცხო ქვეყნის მოქალაქესთან, რომ შეუყვარდა და არ იცოდა, თუ ბავშვი ფერადკანიანი იქნებოდა. როცა ბავშვი დაინახა, მიხვდა, ვერსად გამოაჩენდა, მასზე უარი თქვა და სამშობიარო დატოვა. ბავშვის შემდგომი ბედი მან არ იცოდა.

„ხელთ ორი რამ გვქონდა. პირველი – ზუსტად ვიცოდით, ვინ იყო ფერადკანიანი ბავშვის დედა და მამა. მეორე – ვიცოდით ის, რომ ბავშვის შეცვლა გინეკოლოგის გარეშე ვერ მოხერხდებოდა და მისი მოკვლაც სწორედ ამ ისტორიას უკავშირდებოდა, მაგრამ არ ვიცოდით მთავარი – სად იყო ბავშვი, რომელიც იმ ქალმა გააჩინა, მაგრამ ფერადკანიანი ბავშვი გაატანეს", – გვიყვება ბატონი თენგიზი.

მედპერსონალის დაკითხვამ შედეგი ვერ გამოიღო. არავინ არაფერი იცოდა. ის ექთანი, რომელიც მშობიარობას ესწრებოდა, ამბობდა, რომ ქალმა ჩვეულებრივი, თეთრი ბიჭუნა გააჩინა, რა მოხდა შემდეგ, წარმოდგენა არ ჰქონდა. როცა გინეკოლოგის სიკვიდლის შესახებ გაიგო, შეეშინდა და გაჩუმება ამჯობინა, ამიტომ გადაწყდა, კიდევ ერთხელ დაეკითხათ ის ოჯახი, რომელსაც ფერადკანიანი ბავშვი გაატანეს და გაერკვიათ, ჰყავდა თუ არა მტერი. წყვილმა მხრები აიჩეჩა, ხელს ვერავის დავადებთ, ისეთი არავინ გვახსენდება, ასე გავემეტებინეთო. მათ უკვე იცოდნენ, რომ ბავშვი შეუცვალეს, თუმცა სანამ შესაბამისი სამსახური შავკანიან ბავშვს ბავშვთა სახლში გადაიყვანდა, საკუთარივით უვლიდნენ და არაფერს აკლებდნენ.

„გამოძიება ჩიხში შევიდა, ერთადერთი ადამიანი, რომელმაც რაღაც იცოდა, მკვდარი იყო, ამიტომ ვეძებდით ძაფის ბოლოს, რომელიც ამ აბლაბუდას გახსნიდა, მაგრამ არც ეს ძაფის ბოლო ჩანდა. ამიტომ, ზედმეტი ყურადღებით მოვეკიდეთ იმ ინფორმაციას, რომელიც ორიოდე დღის შემდეგ, დაკარგული ბავშვის მამამ მოგვაწოდა. მისი თქმით, მეზობლის ქალი, რომელიც შინაბერა გახლდათ, მაგრამ კარგ ადგილზე მუშაობდა და ბევრი ფული ჰქონდა, მოსვენებას არ აძლევდა და ცდილობდა, როგორმე ლოგინში შეეთრია. ბავშვის დაბადებამდე სამი დღით ადრე, ამ ქალმა მეზობლურად სთხოვა, ნათურა გადამეწვა, იქნებ შემიცვალოო და როცა კაცი ავიდა, ქალი ლამის შიშველი დახვდა და იერიშზე გადავიდა, თუმცა კაცისგან უარი მიიღო და სწორედ მაშინ უთხრა, ამ საქციელს განანებო. მეზობლის ქალის დასაკითხად მარტო წავედი", – იხსენებს ბატონი თენგიზი.

გამომძიებელს ქალი სამსახურში არ დახვდა, შვებულება აიღო და სამი კვვირაა, არ გამოჩენილაო, ამიტომ შინ მიაკითხეს. ქალმა კარი გააღო და გამომძიებელი შეიპატიჟა. როცა მოისმინა, რისთვის იყო სამართალდამცავი, სიცილი დაიწყო, იმ შტერს რაღაცები ელანდება, მეტი საქმე არ მქონდა, მაგაზე მეოცნება და მენადირა, კაცი თუ მომინდება, რიგს დავაყენებო.

„პრაქტიკულად, უიმედოდ მოვდიოდი, ჩემს წინ იჯდა საკუთარ შესაძლებლობებში თავდაჯერებული ქალი, რომელსაც ყველა კითხვაზე ჰქონდა პასუხი და რეალურად, ბრალს ვერ წავუყენებდი. რატომღაც, ინსტიქტურად ფეხს ვითრევდი, არ მინდოდა წამოსვლა, თითქოს ველოდი, რომ ნერვები უმტყუნებდა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, წამოვდექი, კართან მივედი და აქ მოხდა ის, რასაც ყველაზე ნაკლებად ველოდი – საძინებელი ოთახიდან ბავშვის ტირილის ხმა გავიგე. ქალი ადგილზე გაშეშდა, მერე საძინებლისკენ გაიქცა და ბოლო ხმაზე ყვიროდა, ბავშვს არ გაგატანთო. რა თქმა უნდა, ფეხდაფეხ მივყევი და ქალი მხოლოდ მას შემდეგ დაწყნარდა, რაც ხელბორკილით გამათბობელზე მივაბი.

20 წუთში, ბინა, სადაც ბავშვი ნახეს, ფუტკრის სკას დაემსგავსა. სამართალდამცავების გარდა, მოვიდნენ ბავშვის მშობლები და ბავშვს გულში იხუტებდნენ. მართალია, ექსპერტიზის დასკვნა ჯერ ხელთ არ გვქონდა, მაგრამ ზუსტად ვიცოდით, რომ ბავშვი მშობლებს დაუბრუნდა. მე კი ყველაზე მეტად ამ ქალის დაკითხვა მაინტერესებდა. ეს მხოლოდ მესამე დღეს გახდა შესაძლებელი, რადგან მანამდე ქალს ნერვული შეტევა ჰქონდა", – იხსენებს ბატონი თენგიზი.

„ეს იდიოტი დანახვისთანავე შემიყვარდა. რა არ ვცადე, როგორ არ მოვინდომე, მაგრამ ცოლზე მზე და მთვარე ამოსდიოდა. ბოლოს, შევეგუე, რომ ჩემი ქმარი არ გახდებოდა და საყვარლობაზეც დავთანხმდი. სწორედ ამიტომ მივანიშნე, ლამის შიშველი დავხვდი, იმან კიდევ ხელი მკრა. შემდეგ გავიგე, სად აპირებდა მის მეუღლე მშობიარობას, გინეკოლოგს ფული გადავუხადე, ვუთხარი, ბავშვი შეუცვალე-მეთქი. იმ დღეს მხოლოდ ის ზანგი ბავშვი გაჩნდა და სხვა გზა არ ჰქონდა, შეუცვალა, ამათი შვილი კი მე წამოვიყვანე. სინამდვილეში, მინდოდა, უბრალოდ, ბავშვი შეეცვალათ, სხვისი შვილი გაეზარდათ და წლების შემდეგ ვეტყოდი მწარე სიმართლეს, შურს ვიძიებდი. მერე, როცა ეს ბავშვი უპატრონოდ დარჩა, რადგან იმ მეორეზე დედამ უარი თქვა, წამოვიყვანე, ვიშვილე და ესეც შურისძიება იქნებოდა, მე გავზრდიდი ბავშვს, ყოველ დღე დაინახავდნენ და არ ეცოდინებოდათ, რომ მათი შვილი იყო. მერე გინეკოლოგმა მითხრა, ანალიზებს აბარებენ და მე ვერ გავჩუმდებიო, ამიტომ ვნახე ერთი კაცი, რომელმაც ეს პრობლემა მოაგვარა, ყველაფერი უბედურ შემთხვევას უნდა დამსგავსებოდა, მაგრამ არ გამოვიდა", – ეს არის ამონარიდი დაკავებულის ჩვენებიდან.

სამართალდამცავებმა გინეკოლოგის მკვლელი, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი რეციდივისტი მალე დააკავეს და განზრახ მკვლელობისთვის, მას 15 წელი, ხოლო ქალს – 8 წელი მიუსაჯეს.

რაც შეეხება ფერადკანიან ბავშვს, როგორც საბჭოთა კავშირის „სირცხვილს", მამას უფლება მისცეს, ის საფრანგეთში წაეყვანა. მას ქალის წაყვანაც სურდა და წინააღმდეგი არც დედა გახლდათ, მაგრამ ქალბატონს საბჭოთა კავშირის დატოვების უფლება არ მისცეს.

თავდასხმა „ბორდელზე“ და „მამაშას“ მკვლელობა

რატომ არ მიუსაჯეს მეძავის მკვლელებს დახვრეტა

ბათო ჯაფარიძე

„ბორდელი“ – საბჭოთა კავშირის დროს, ამ სიტყვას ძალიან ჩუმად ამბობდნენ და ზოგადად, მისი მნიშვნელობა ბევრმა არც კი იცოდა. „საბჭოთა კავშირში სექსი არ არის“ – ეს ფრაზა არ იყო ჰაერიდან მოტანილი. სექსზე ხმამაღლა არავინ საუბრობდა, ეს ამორალურად ითვლებოდა და ამორალური ცხოვრება კი სისხლის სამართლის კოდექსით ისჯებოდა. ამის მიუხედავად, დედაქალაქსა და რეგიონებშიც არსებობდა ბინები, სადაც მამაკაცები ცოლებისგან მალულად დადიოდნენ და ვნებას თუ ჟინს იკმაყოფილებდნენ. სამართალდამცავებმა, პრაქტიკულად, ყოველთვის იცოდნენ, სად იყო ასეთი ბინა, თუმცა არცთუ იშვიათად, სათავისოდ იყენებდნენ, რადგან შესაძლებელი იყო, ამ ბინაში რომელიმე მაღალჩინოსანიც გამოჩენილიყო, რაც ძალოვანებს კომპრომატის შესაძლებლობას აძლევდა.

„სწორედ ამიტომ, როცა შეტყობინება შემოვიდა, რომ ერთ-ერთ ასეთ ბინაში „მამაშა“ მოკლეს და იქ მყოფი კიდევ ერთი ქალი დაჭრეს, საქმეს გრიფით საიდუმლო დაედო. იქაურობის ბატონ-პატრონი ქალი ჩვენი აგენტი იყო და რაც მთავარია, ეს „ბუდე“ არ იყო ყველასთვის ხელმისაწვდომი. იქ მხოლოდ შეძლებული ადამიანები და, ასე განსაჯეთ, პარტიული ჩინოვნიკები დადიოდნენ. ძალიან ბევრ რამეს ვიგებდით ამ დაწესებულებიდან და მომხდარი ჩვენთვისაც საგანგაშო გახლდათ“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

„მამაშას“ დანით 44 ჭრილობა ჰქონდა მიყენებული და ეს, იმის მიუხედავად, რომ მეორე ჭრილობა უკვე სასიკვდილო გახლდათ. რაც შეეხება გადარჩენილ ქალს, ის კომაში იყო და ექიმები მისი სიცოცხლის შანსს უმნიშვნელოდ აფასებდნენ. დაჭრილი ქალის ვინაობა გაარკვიეს და სამართალდამცავებმა „კულტურული შოკი“ მიიღეს. ეს ქალბატონი აშკარად ახალი იყო, შესაბამისად, გამოწყობილი გახლდათ ანუ კლიენტს რომ მოსწონებოდა და... ის ოფიციალურ ქორწინებაში... მილიციის თანამშრომელთან იმყოფებოდა.

მაშინვე გაჩნდა ვერსია, რომ ქმარმა ცოლის საქმიანობის შესახებ გაიგო, მივიდა და შური იძია, თუმცა ვერსია მაშინვე გამოირიცხა, რადგან სამი დღით, ქმარი მივლინებაში იმყოფებოდა ერთ-ერთ რეგიონში. იმ დროს, როცა ცოლი დაუჩეხეს, ჩასაფრებაში იმყოფებოდა მეწყვილესთან ერთად და ვიღაც დამნაშავის გამოჩენას ელოდა. კოლეგებს მისი დაკითხვა მაინც მოუხდათ.

„ერთხელ, ნათესავმა ქალმა მითხრა, შენი ცოლი წმინდა წყლის არ უნდა იყოს, საეჭვო ქალების გვერდით ვხედავო. თვალთვალიც კი დავუწყე და ისეთი ვერაფერი შევამჩნიე, ეჭვის საფუძველი მქონოდა. ამიტომ შევეშვი, მაგრამ მერე და მერე, მეც ეჭვის თვალით ვუყურებდი, რადგან ზედმეტად გულახდილ თეთრეულს ყიდულობდა, სუნამოებიც მხოლოდ უცხოური სურდა, პარფიუმერიაც... რას წარმოვიდგენდი, მეძავი თუ იყო“, – ეს არის ამონარიდი ქმრის ჩვენებიდან.

სამართალდამცავებს იმ ბინის კლიენტურა კარგად ჰყავდათ შესწავლილი, მაგრამ არავინ იყო ისეთი, ვინც შეიძლებოდა, მკვლელობაზე წასულიყო. ფული არავის უჭირდა და რაც მთავარია, ასეთ დროს, დანაშაულის ჩადენას ყველა ერიდება. მკვლელს ან მკვლელებს ადგილზე არაფერი ჰქონდათ დატოვებული, ექსპერტებმა მცირედი ხელჩასაწიდიც კი ვერ იპოვეს, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ დანაშაული გამოცდილი ბოროტმოქმედების ჩადენილი იყო და ახლა იმათი შემოწმება დაიწყეს, ვინ გათავისუფლდა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ისეთი, ვისაც ასე მარტივად შეეძლო მოკვლა. იმედი, რომ ქალი კომიდან გამოვიდოდა და რაიმეს იტყოდა, სულ უფრო მცირე იყო. რაღა თქმა უნდა, სამართალდამცავებმა პალატასთან დაცვაც დააყენეს, რათა მკვლელს ან მკვლელებს დაწყებულის დასრულების სურვილი არ გასჩენოდათ, თუმცა თუ ისინი გაიგებდნენ, რა მდგომარეობაში იყო ქალი, აღარ გარისკავდნენ.

დრო რაც უფრო გადიოდა, ექიმები გადარჩენის შანსს ნაკლებად იძლეოდნენ. გამოძიებამ ბოლო გაბრძოლებაც სცადა – ხმა გავრცელდა, თითქოს ქალი კომიდან გამოდიოდა და 2-3 დღეში ჩვენების მიცემას შეძლებდა. პარალელურად, პალატასთან დაცვა არ გაუძლიერებიათ, მაგრამ იმ სართულზე, ექიმის ფორმაში გადაცმული შვიდი ოპერმუშაკი მორიგეობდა. ამან შედეგი არ მოიტანა, ქალის მოკვლა არავის უცდია და გამომძიებლებმაც ყურები ჩამოყარეს.

„სხვა გზა არ იყო, გადავწყვიტეთ, ის ქალები დაგვეკითხა, რომლებიც კლიენტებს ემსახურებოდნენ, შეიძლება, მათ სცოდნოდათ რამე, მაგრამ ეს საიდუმლოდ უნდა მომხდარიყო. ოფიციალურად, საბჭოთა კავშირში პროსტიტუცია არ იყო და ახლა, ქალების რიგი რომ დაგვეყენებინა, სკანდალი აგორდებოდა. ამასთან, მათი არცთუ მცირე ნაწილი ჩვეულებრივი, მეოჯახე ქალი იყო, სამეზობლოშიც ავტორიტეტით სარგებლობდნენ და ოჯახსაც არ ჰქონდა წარმოდგენა, რას საქმიანობდნენ. ამიტომ, მათი დაბარება უდიდესი სიფრთხილით დავიწყეთ“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

სწორედ ქალბატონების დაკითხვიდან გამოიკვეთა ერთი საყურადღებო მომენტი, რომელიც სამართალდამცავებს მანამდე გამორჩათ. ქალების უმრავლესობა ამტკიცებდა, რომ „მამაშა“ დღეში, მინიმუმ, 200 მანეთს თავის წილად აკეთებდა, რაც საბოლოო ჯამში, დიდ თანხამდე მიდიოდა ანუ შესაძლოა, დანაშაული არა ეჭვიანობის, ან ყოფითი ნიადაგის ფონზე, არამედ, სწორედ ამ თანხის გამო მომხდარიყო. უფრო მეტიც, ქალებმა ისიც თქვეს, ათი ათას მანეთამდე, „მამაშას“ სახლში მუდმივად ედო და კლიენტებს არა მარტო ქალებით ემსახურებოდა, არამედ, მათზე ფულსაც აპროცენტებდაო.

სამართალდამცავებმა სახლი კიდევ ერთხელ გაჩხრიკეს და რვეულიც იპოვეს, სადაც მოვალეთა მხოლოდ ინიციალები იყო და გვერდით თანხა ეწერა. ახალი აღმოჩენის მიუხედავად, გამოძიება ბედნიერი აშკარად არ იყო. მართალია, სია არცთუ მცირე გახლდათ, მაგრამ მაქსიმუმ, 2 ათასი მანეთი იყო გასესხებული და მსესხებლებს ისე ნამდვილად არ უჭირდათ, რომ ამ თანხის გამო მკვლელობაზე წასულიყვნენ. გამოძიება ისევ ჩიხში შევიდა და გაჩერდა.

სწორედ ამ დროს, ერთ-ერთმა ოპერმუშაკმა აგენტურული ქსელით შეიტყო, რომ დედაქალაქში, ახლადგათავისუფლებული, ცნობილი კრიმინალი იყო ჩამოსული ქუთაისიდან და... ერთ-ერთ იმ ქალთან ცხოვრობდა, რომელიც აღნიშნულ „დაწესებულებაში“ მუშაობდა. მათი თვალთვალი გადაწყდა და 24-საათიან რეჟიმში, ოპერმუშაკები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. თვალთვალმა არაფერი მოიტანა, გარდა იმისა, რომ წყვილი ძალიან ბედნიერად გრძნობდა თავს, ფულს უაზროდ ფლანგავდა, თუმცა ოფიციალურად ისინი არსად არ მუშაობდნენ. პერიოდულად, მათთან კიდევ ერთი კრიმინალი მოდიოდა, ისხდნენ, ქეიფობდნენ, იშლებოდნენ.

„ამ დროს გამახსენდა ქალბატონების მონაყოლი. „მამაშა“ ზედმეტად ფრთხილობდა და უცხოს კარს არასდროს უღებდა, თუ ვინმეს ახალი კაცის მოყვანა სურდა, მასთან ერთად უნდა მისულიყო და კარიც მხოლოდ ამ შემთხვევაში იღებოდა ანუ თუ დამნაშავეები ესენი იყვნენ, საქმეზე ქალიც უნდა ყოფილიყო, კარს მხოლოდ მას თუ გაუღებდნენ. ამიტომ, ქალის დამუშავება გადავწყვიტეთ. მას სოფელში მოხუცი დედა ჰყავდა და დეპეშა გავუგზავნეთ, რომ ის უკანასკნელ დღეში იყო და შვილის ნახვა სურდა. გათვლა მარტივი გახლდათ – სოფელში საყვარელს არ წაიყვანდა, დედას კი აუცილებლად ნახავდა. ასეც მოხდა, დეპეშის მიღებიდან ორ საათში, ქალი სოფელში... ტაქსით გაემგზავრა ანუ მას ტაქსის ფულიც ჰქონდა. თბილისის გასასვლელთან ტაქსი „გაიშნიკებმა“ გააჩერეს და ქალი განყოფილებაში მივიყვანეთ“, – გვიყვბა ბატონი თენგიზი.

გოგონას სახეზე ეწერა, რომელი კითხვის ეშინოდა ყველაზე მეტად. ამიტომ, გამომძიებლები საქმეზე გადავიდნენ და პირდაპირ უთხრეს, კომაში მყოფმა ქალმა გაიღვიძა და ხელი შენ დაგადოო. ქალმა ცრემლები აღვარღვარა, მე არაფერ შუაში ვარ, მე არ მომიკლავსო, შემდეგ კი მოყოლა დაიწყო. კრიმინალს ადრე იცნობდა, გიჟდებოდა და დნებოდა, მაგრამ როცა ციხეში ჩასვეს, სრულიად მარტო დარჩა და თავის რჩენის ასეთ გზას მიაგნო. მერე, როცა მეგობარი გათავისუფლდა, გადაწყვიტა, „ბორდელისთვის“ თავი დაენებებინა, თუმცა წამოსცდა, „მამაშას“ სახლში, მინიმუმ, 10 ათასი მუდმივად უდევსო. შემდეგ ყველაფერი მარტივად მოხდა – კრიმინალებმა გოგო წაიყვანეს, კარზე დააკაკუნებინეს და რადგან „მამაშამ“ ყვირილი დაიწყო, დანა დაარტყეს და მოკლეს, თუმცა სახლში 5 ათას მანეთზე მეტი ვერ იპოვეს. ჰოდა, მეორე ქალს შეშინება დაუწყეს და უკვე გარდაცვლილს, დანას მის დასანახად ძალუმად არჭობდნენ. რა თქმა უნდა, მილიციის თანამშრომლის ცოლმა დანარჩენი ფულის ადგილსამყოფელი არ იცოდა და ვერაფერი თქვა. შედეგად, ისიც დაჩეხეს და წავიდნენ.

მკვლელობაში ეჭვმიტანილეების დაკავება ტექნიკის საქმე იყო და ამ დავალებას მილიციის თანამშრომლებმა თავი კარგად გაართვეს. მათ 15-15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და მხოლოდ იმიტომ არ დახვრიტეს, რომ... მეძავები დახოცეს. მიზეზი მარტივია, საბჭოთა კავშირში, მაშინ სექსი არ იყო.

ცოლმა ქმარი ტაფით მოკლა

ბათო ჯაფარიძე

პრაქტიკული გამოცდილება – ეს არის ის, რასაც ვერსად შეიძენ და თუ არ გექნება, ვერასოდეს ისწავლი. თეორიული ცოდნა ძალიან კარგია, მაგრამ პრაქტიკული გამოცდილება ბევრად მეტია. ამიტომაცაა, ახალგაზრდებს მეტი შეცდომები რომ მოსდით, ვიდრე – ასაკოვანებს. მათ ის გზა უკვე გავლილი აქვთ, იმ ნაღმებზე დაბიჯებული აქვთ, რომელზეც ახალგაზრდები ფეთქდებიან და თუ ახალგაზრდას ჭკუა აქვს, უფროსი კოლეგის რჩევები უნდა გაითვალისწინოს.

რა ინციდენტი უძღვოდა მკვლელობას და ვისი დახმარებით გავიდა გამოძიება დამნაშავეზე

„ახალი ოპერმუშაკი ვიყავი, ჩვენს განყოფილებას პენსიისთვის გამზადებული ილო ძია ხელმძღვანელობდა. პირდაღებული ვუსმენდით მის თითოეულ სიტყვას, რადგან ყველაფერი ჰქონდა ნანახი და ძალიან, ძალიან ბევრი რამ იცოდა. დარეკეს, მკვლელობა მოხდაო და ჩვენც ერთად გავედით. ჩვეულებრივ „ხრუშჩოვკაში“, 35 წლამდე ასაკის მამაკაცი იყო გარდაცვლილი და მკვლელობის იარაღიც იქვე ეგდო – თუჯის მძიმე ტაფა, რომლითაც, სავარაუდოდ, მოკლულს თავი გაუჩეჩქვეს და არაერთხელ ჩაარტყეს. ძია ილომ დახედა და უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა – განზრახ მკვლელობა არ არის, ეს გამოძიებაში ხელს შეგვიშლისო. გაოცებისგან პირი დავაღე, როგორ შეიძლებოდა თვალის ერთი გადავლებით, ესოდენ მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება? თითქოს მიმიხვდა, ჩუმად გააგრძელა – როცა ადამიანი მკვლელობას აპირებს, მინიმუმ, დანით მიდის. აქ კი ტაფა გამოიყენეს ანუ ვინც ეს უბედური მოკლა, არაფერს აპირებდა, შემდეგ წარმოიშვა რაღაც გარემოება, რამაც აიძულა, რომ მოეკლა და მოეკლა ასეთი მეთოდით. ტარზე ანაბეჭდები არ იქნება, რადგან ყველამ იცის, რომ ანაბეჭდები უნდა წაშალოს, არც – სახელურზე. ასე მგონია მე. მართლაც, ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ კარისა და ტაფის სახელურები საგულდაგულოდ იყო გაწმენდილი, კარზე მხოლოდ ცოლის თითის ანაბეჭდი იყო. აი, ეს არის გამოცდილება“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

გარდაცვლილი მამაკაცი ცოლმა იპოვა, რომელიც შინ დილით დაბრუნდა და რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში, ის უნდა დაეკითხათ.

„საღამოს, მეგობრებთან ერთად, ჩემი სახლის გვერდით, რესტორანში წავედი. ყველა ლოგიკით, ქმარი მივლინებაში უნდა ყოფილიყო, ამიტომ არ ვჩქარობდი. ასე შევრჩით დილამდე და დილით, როცა მოვედი, ეს საშინელი სურათი დამხვდა. მაშინვე პოლიციაში დავრეკე“, – განაცხადა ქალმა.

სამართალდამცავებმა გადაამოწმეს და მართლაც, კაცი მივლინებაში უნდა წასულიყო, მაგრამ ბოლო მომენტში რაღაც შეიცვალა და შინ დარჩა. ამის შესახებ მხოლოდ სამსახურის ხელმძღვანელმა იცოდა, რომელმაც კაცს სახლის ტელეფონზე პირადად დაურეკა. რესტორნის თანამშრომლებმა და ქალის ორმა დაქალმა კი დაადასტურა, რომ მთელი საღამო რესტორანში იყვნენ, ქალი არსად წასულა და რაც მთავარია, მთელი ღამე განუწყვეტლივ ცეკვავდა და ასე განსაჯეთ, სიმღერა მუსიკოსებს თავად ქალმაც შვიდჯერ შეუკვეთა. თითო შეკვეთა ათი მანეთი ღირდა, 70 მანეთი კი მაშინ პატარა ფული ნამდვილად არ იყო. სამაგიეროდ, გამოჩნდა მოწმე, რომელმაც თქვა, რომ საღამოს კაცს სტუმრად მეგობარი ეწვია, გვარიანად ნასვამი და ის იქ ადრეც ჰყავდა ნანახი.

სამართალდამცავები მეგობართან გაემგზავრნენ და შინ მძინარე იპოვეს, ტანსაცმლიანი ეგდო ლოგინზე და ეძინა. შარვალსა და პერანგზე სისხლის ლაქები აშკარად ჩანდა. სავარაუდოდ, ეს იმ კაცის ყველაზე ცუდი გამოღვიძება იყო. მის წინ ოპერმუშაკები იდგნენ და აუწყეს, რომ მკვლელობაში ეჭვმიტანილი იყო.

„შეიძლება, მე მოვკალი, არაფერი მახსოვს.. თუმცა ეს სისხლი... რა თქმა უნდა, მე მოვკალი, ალბათ იმიტომ, რომ თავიდან კარს არ მიღებდა, ნასვამი ხარო, მეუბნებოდა. მერე კიდევ დავლიე და... მერე აღარ მახსოვს, სახლში ვინ მომიყვანა“,-გაურკვევლად საუბრობდა კაცი.

გამომძიებლები სიამოვნებისგან ხელებს იფშვნეტდნენ. ერთი შეხედვით, უიმედო მკვლელობა ლამის ორ საათში გახსნეს და ახლა მხოლოდ ერთი რამ იყო საჭირო – სისხლის ლაქები გარდაცვლილის სისხლის ჯგუფს დამთხვეოდა. სწორედ ამიტომ, ოპერჯგუფს მეტი არაფერი გაუკეთებია, ყველა განყოფილებაში დაბრუნდა და მშვიდად ელოდა ექსპერტის დასკვნას, დაკავებული კი წერდა, რომ არაფერი ახსოვდა, თუმცა არ გამორიცხავდა მეგობრის მკვლელობას, რადგან ახსოვდა, რომ ის დალევას უკრძალავდა და კარს არ უღებდა.

ექსპერტიზის დასკვნა მხოლოდ დაკავებულს მოეწონა – ტანსაცმელზე აღმოჩენილი სისხლი, სავარაუდოდ, ძაღლის იყო. ყოველ შემთხვევაში, ადამიანის არ გახლდათ და სად ნახა სისხლიანი ძაღლი, ან როგორ მოხვდა მის ტანისამოსზე ცხოველის სისხლი, გამოძიებას არ დაუდგენია.

დაკავებული გაათავისუფლეს და ვერსიების ძიება განაგრძეს. ასეთ დროს ყველაზე კარგი მთხრობელები მეზობლები არიან და მათაც პირი მოაღეს. განსაკუთრებით ერთი აქტიურობდა, რომელიც ჯიუტად ამტკიცებდა, მაგ კაცს მეზობლის ქალი მოკლავდა, წინა დღეს კარგად მესმოდა, როგორ ეჩხუბებოდა, მეორედ არ გაბედო და მაგ საკითხზე ჩემთან არ მოხვიდეო. ახალი ეჭვმიტანილიც მარტოხელა იყო და ისიც დაკითხეს.

„არაფერი განსაკუთრებული. ქმარს ეჭვი გაუჩნდა, რომ ცოლი ღალატობდა და მთხოვა, როცა შინ არ ვიქნები, ყურადღება მიაქციე, ეჭვი მაქვს, ჩემს არყოფნაში, საყვარლები შინ დაჰყავსო. მე ოჯახურ საქმეში ჩარევა არ ვისურვე და უარი ვუთხარი, მაგრამ როცა იგივე გამიმეორა, მკაცრად ვუპასუხე, მეორედ არ გაბედო და მაგ საკითხზე ჩემთან არ მოხვიდე-მეთქი“, – განაცხადა ქალმა.

მართალია, გამოძიებას ეს ძაფიც ხელიდან გაუსხლტა, მაგრამ სამაგიეროდ გაიგეს, რომ ქმარი ცოლზე ეჭვიანობდა და ახლა მისი ალიბი კიდევ ერთხელ შეამოწმეს. მომსახურე პერსონალი, მუსიკოსები, დაქალები ერთ ხმაში იმეორებდნენ, რომ მთელი ღამე ქალმა ლამის საცეკვაო სცენაზე გაატარა და გამორიცხული იყო, ვინმე მოეკლა. ის სვამდა, ჭამდა, ცეკვავდა ანუ ბოლომდე ერთობოდა და თან ამბობდა, კიდევ კარგი, ქმარი მივლინებაშია, თორემ ასეთ მთვრალს რომ მნახავდა, გადაირეოდაო.

რესტორნიდან ისინი გამთენიისას გავიდნენ და მილიციაში ზარი, დაახლოებით, 15 წუთში გაისმა ანუ ქალს შინ მისვლისას რომ მოეკლა ქმარი, ყველაფერი ახალი მომხდარი უნდა ყოფილიყო, ექსპერტი კი ამტკიცებდა, მკვლელობა, მაქსიმუმ, ღამის 1 საათზე მოხდაო.

იყო კიდევ ერთი, არანაკლებ საინტერესო დეტალი – რესტორნის ცენტრალური კარი დაკეტილი გახლდათ და გასაღები ერთ-ერთ ოფიციანტს ჰქონდა. მისთვის კარის გახსნა არავის უთხოვია, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქალი რესტორნიდან ვერ გავიდოდა.

„ყველამ ყურები ჩამოვყარეთ. ილო ძია მართალი გამოდგა, შემთხვევით მკვლელობასთან გვქონდა საქმე და არა – გამოცდილ მკვლელთან, რომელსაც შეიძლებოდა რაღაც მიზანი და მიზეზი ჰქონოდა. სახლში კი ძვირფასეულობა ადგილზე იყო, არც ფული იყო წაღებული და ცოლიც ამტკიცებდა, არაფერი გვაკლიაო ანუ მკვლელმა ნივთები არ წაიღო, მან მოკლა კაცი, პანიკურად გაწმინდა ყველაფერი და კარი გაიხურა, თუმცა იყო კიდევ ერთი საინტერესო რამ – ღამით კაცი უცხოს კარს არ გაუღებდა ანუ მოკლული მკვლელს იცნობდა, მაგრამ ვინ იყო ეს მკვლელი, ვინ?!“ – გვიყვება ბატონი თენგიზი.

მომხდარიდან ორ კვირაში, ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების თანამშრომლებმა, ნარკოტიკების მოხმარებისა და გასაღების ფაქტზე იმ რესტორნის ოფიციანტი დააკავეს, რომელშიც მოკლული კაცის ცოლი ერთობოდა. მას სოლიდური სასჯელი ელოდა და მოულოდნელად სამართალდამცავებთან გარიგება მოითხოვა – თუ გამიშვებთ, მკვლელობას გაგახსნევინებთო. რაღა თქმა უნდა, მაშინვე მკვლელობის განყოფილებას დაუძახეს და შეთანხმდნენ, რომ სულ გაშვება არ გამოვიდოდა, პირობით სასჯელს გააყოლებდნენ, პარალელურად კი მას ისიც უნდა ეთქვა, ვისგან იღებდა ნარკოტიკს. ოფიციანტი დათანხმდა და დაიწყო:

„სულ ტყუილად გგონიათ, რომ ქალმა რესტორნიდან გასვლა ვერ მოახერხა. მას იქ მყოფი ჩვენი მზარეულის თანაშემწე მოეწონა, მთვრალი იყო და მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილ საპირფარეშოშიც შეიყვანა. მე ნარკოტიკს ვიღებდი და მესმოდა, როგორ ეუბნეოდა ქალი, ადამიანურად მინდა ყველაფერი, აქვე ვცხოვრობ, წავიდეთ, ქმარი სახლში არ იქნებაო. მზარეულის თანაშემწემ უთხრა, ჯერ გადაამოწმე და მერე წავიდეთო. ქალი წავიდა, რესტორნიდან უკანა შესასვლელით გავიდა, უკან მალე დაბრუნდა და თქვა, ის იდიოტი შინ დამხვდა, ტაფა ჩავარტყიო. მისი გასვლა მარტივი მიზეზის გამო ვერ გაიგო ვერავინ – ყველა ნასვამი იყო და მერე იმდენს ცეკვავდა, შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მუდმივად იქ ტრიალებდა“,-დაასრულა მოყოლა ოფიციანტმა.

სამართალდამცავებმა დაქალებს გამოკითხეს, რა ეცვა მომხდარის ღამეს მათ მეგობარს და ტანსაცმელი ექსპერტიზაზე წაიღეს. ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ ტანისამოსზე სისხლის შხეფები იყო და რაღა თქმა უნდა, გარდაცვლილის ცოლი დააკავეს.

„იდიოტი იყო ჩემი ქმარი. ორი წლის წინ გაცივდა და სექსუალური თვალსაზრისით, სერიოზული პრობლემები შეექმნა. გაყრა ვთხოვე, უარი მითხრა, რაც გინდა ქენი, ოღონდ არ მიმატოვოო. მეც შეძლებისდაგვარად ვიკავებდი ხოლმე თავს, მაგრამ გადაცდომებიც მქონდა. იმ ღამეს, შინ რომ დავბრუნდი, დავინახე, სამზარეულოში იჯდა და სვამდა. გულზე შემომეყარა, ყველაფერი ჩამწყდა შიგნით და ტაფა ანგარიშმიუცემლად ჩავარტყი თავში. ჯერ ერთხელ, მერე მეორედ და მივხვდი, მოვკალი. უკან მალე დავბრუნდი და ბოლომდე დავთვერი, რათა მომხდარი დამევიწყებინა, შემდეგ კი, დილით მილიციაში დავრეკე. მე მისი მოკვლა არ მინდოდა“, – ასეთია დაკავებულის ჩვენების ამონარიდი.

საბჭოთა სასამართლო ქალების მიმართ ყოველთვის ლოიალური იყო და ქმრის მკვლელსაც მხოლოდ 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

პოლიციამ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით ამბროლაურში ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ამბროლაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2001 წელს დაბადებული ბ.მ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 21 აგვისტოს, ამბროლაურში, კოსტავას ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1999 წელს დაბადებული კ.ქ. ცივი იარაღის გამოყენებით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწია.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბ.მ. ბრალდებულის სახით დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა, ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში, მომხდარიდან მალევე, პოლიციამ წარსულში ნასამართლევი ორი პირი – 1989 წელს დაბადებული გ.მ. და 1977 წელს დაბადებული ვ.ტ. დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დააკავა.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისა და დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 376-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

პოლიციამ ბორჯომში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული ა.ნ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ქალაქ ბორჯომში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, სტუმრად მყოფ ნაცნობს – 1965 წელს დაბადებული რ.კ.-ს, ცივი იარაღის გამოყენებით, გულ-მკერდის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა, რის შედეგადაც დაჭრილი მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ა.ნ. ცხელ კვალზე, შემთხვევის ადგილზე დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

სამართალდამცველებმა სარფში განსაკუთრებით დიდი ოდენობით „ჰეროინი“ ამოიღეს – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტისა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1979 წელს დაბადებული ო.გ., განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე, საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფის“ ტერიტორიაზე დააკავეს.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, ო.გ.-ის მართვის ქვეშ არსებული სატვირთო მიკროავტობუსის შემოწმების შედეგად, აღნიშნული ტრასპორტის სალონში დამალული, ორ შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

პოლიციამ სოციალურ ქსელებში თაღლითობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1996 წელს დაბადებული გ.ლ. თაღლითობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ გ.ლ.-მ, 2020 წლის დეკემბერში, კანადაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქის სახელით, სოციალურ ქსელ Facebook-ზე დაარეგისტრირა მომხმარებლის ყალბი პროფილი, რის შემდეგაც დაიმატა მეგობრები და მათგან ერთ-ერთს, ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ნ.ღ.-ს მისწერა, თითქოს მის შვილს ჰქონდა ფინანსური პრობლემები, რის გამოც საქართველოში სასწრაფოდ უნდა გადაეგზავნა 300 აშშ დოლარი. ნ.ღ-მ ჩათვალა, რომ რეალურად კომუნიკაცია ჰქონდა თავის ნათესავთან, რის გამოც იმავე დღეს, სწრაფი გზავნილების საერთაშორისო სისტემის მეშვეობით, ამერიკის შეერთებული შტატებიდან საქართველოში, გ.ლ.-ს სახელზე გამოგზავნა თანხა – 300 აშშ დოლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა გ.ლ.-მ გაანაღდა ერთ-ერთი კომერციული ბანკის ფილიალიდან, რითაც ნ.ღ.-ს მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, თაღლითობის ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კახეთში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ორი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდალთან მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნეს. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავებულია 1980 წელს დაბადებული ზ.ზ.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ამავე ფაქტთან დაკავშირებით, სამართალდამცავებმა ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვის ბრალდებით, რასაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა, 1977 წელს დაბადებული ჯ.ჯ. დააკავეს.

გამოძიების ამ ეტაპზე დადგენილია, რომ მიმდინარე წლის 16 აგვისტოს, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის მიმდებარე ტერიტორიაზე, რამდენიმე პირს შორის ყოფით ნიადაგზე დაწყებული ურთიერთშელაპარაკება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. აღნიშნული დაპირისპირებისას, 1971 წელს დაბადებულმა ვ.ც.-მ, ამჟამად ბრალდებულის სახით დაკავებული ჯ.ჯ.-ის სახელზე რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გახსნა, რასაც ამავე დაპირისპირებაში მონაწილე, 1994 წელს დაბადებული ნ.კ.-ის მხრიდან, ასევე ცეცხლსასროლი იარაღიდან საპასუხო სროლა მოჰყვა.

ნ.კ.-ის მიერ განხორციელებული სროლის შედეგად, ოთხი პირი: 1971 წელს დაბადებული ვ.ც., 1976 წელს დაბადებული ზ.ზ., 1975 წელს დაბადებული ზ.მ. და 1991 წელს დაბადებული ა.შ. დაიჭრა. მიღებული დაზიანებების შედეგად, ვ.ც. და ზ.ზ. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალნენ, ხოლო ზ.მ.-ს და ა.შ.-ს შესაბამისი სამედიცინო დახმარება ჩაუტარდათ.

გამოძიებით ასევე დგინდება, რომ მომხდარი დაპირისპირებისას, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა განახორციელა ბრალდებულის სახით დაკავებულმა ზ.ზ.-მაც, რა დროსაც სასიკვდილოდ დაიჭრა 1994 წელს დაბადებული ნ.კ.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღები – „სტეჩკინის“ ტიპის პისტოლეტი და „საიგას“ ტიპის ნახევრადავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლით მიმდინარეობს.

ეროვნული ნაკრების ცხელი სექტემბერი

სექტემბერში, საქართველოს ეროვნული ნაკრები სამ შეხვედრას ჩაატარებს. ქვეყნის მთავარი საფეხბურთო გუნდი ორ ოფიციალურ და ერთ ამხანაგურ მატჩს ითამაშებს. 2 სექტემბერს, „ჯვაროსნები“ ბათუმის ახალ სტადიონზე, კოსოვოს წინააღმდეგ ითამაშებენ, 5 სექტემბერს, ქალაქ ბადახოსში, ვილი სანიოლის გუნდი ესპანეთს დაუპირისპირდება, 8 სექტემბერს კი ქართველი ფეხბურთელები სტუმრად, ამხანაგურ შეხვედრაში, ბულგარეთს გაეჯიბრებიან.

სანამ ნაკრების შემადგენლობას გაგაცნობთ, გეტყვით, რომ 2 სექტემბრის მატჩის ჩატარება ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს. 2008 წელს, კოსოვოს პარლამენტმა კოსოვოს დამოუკიდებლობის აქტი გამოსცა. ამჟამად, კოსოვოს დამოუკიდებლობას გაეროს წევრი 193 ქვეყნიდან, 104 აღიარებს, თუმცა ამ სიაში საქართველო არ არის. ჰოდა, საინტერესოა, როგორ ჩატარდება მატჩი, თუ ჩვენი ქვეყანა მეტოქის დამოუკიდებლობას არ სცნობს?! აუცილებლად უნდა გავიხსენოთ 2019 წლის ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში, რომელიც ბათუმში გაიმართა. ბათუმს 47 ქვეყნის 400-მდე სპორტსმენი, ჯამში, 50 სპორტული დელეგაციის 800-მდე სტუმარი ეწვია, მათ შორის იყო კოსოვოს დელეგაცია, თუმცა მაშინ საქართველოს პრემიერის განკარგულება გავრცელდა და განიმარტა, რომ კოსოვოელი სპორტსმენების უვიზოდ ჩამოსვლა და ჩემპიონატში მათი მონაწილეობა საქართველოს მიერ, კოსოვოს რაიმე ფორმით აღიარებას არ ნიშნავდა. საფეხბურთო მატჩს კი სხვა დატვირთვა აქვს – უნდა აღმართოს კოსოვოს ეროვნული დროშა, უნდა შესრულდეს კოსოვოს ეროვნული ჰიმნი... ფეხბურთის ევროპულმა მმართველმა ორგანომ დააანონსა, რომ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული ქვეყანა კოსოვოს მასპინძლობას ვერ შეძლებდა, შესაბამისი წერილის საფუძველზე, UEFA შეხვედრას სხვა, ნეიტრალურ სტადიონზე გადაიტანდა. ასეთი წერილი საქართველოდან ჯერ არ გაგზავნილა. კოსოვოს ფაქტობრივი აღიარება ძალიან ცუდად იმოქმედებს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიმართულებით, რადგან კოსოვოს შემთხვევაშიც თითქმის იგივე ხდება, რაც ქართულ მიწებთან დაკავშირებით. იმედია, პოლიტიკოსები სწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ.

რაც შეეხება ამ შეხვედრებისთვის, ვილი სანიოლის მიერ, ნაკრებში გამოძახებულ შემადგენლობას:

მეკარეები: გიორგი ლორია („ანორთოსისი“, კვიპროსი), გიორგი მამარდაშვილი („ვალენსია“, ესპანეთი), ლაზარე კუპატაძე („დინამო“ ბათუმი);

მცველები: გურამ კაშია („სლოვანი“, სლოვაკეთი), ოთარ კაკაბაძე („კრაკოვია“, პოლონეთი), დავით ხოჭოლავა („კოპენჰაგენი“, დანია), გურამ გიორბელიძე („დინამო“ დრეზდენი, გერმანია), გრიგოლ ჩაბრაძე, ირაკლი აზაროვი (ორივე „დინამო“ ბათუმი), ლუკა ლოჩოშვილი („ვოლფსბერგი“, ავსტრია), საბა ხვადაგიანი („დინამო“ თბილისი);

ნახევარმცველები: ჯაბა კანკავა („სლოვანი“, სლოვაკეთი) გიორგი აბურჯანია („ჟილ ვისენტე“, პორტუგალია), საბა ლობჟანიძე („ჰატაისპორი“, თურქეთი), ვაკო ყაზაიშვილი („ულსან ჰიუნდაი“, სამხრეთ კორეა), ხვიჩა კვარაცხელია („რუბინი“, რუსეთი), გიორგი ჩაკვეტაძე („გენტი“, ბელგია), ზურიკო დავითაშვილი („არსენალი“ ტულა, რუსეთი), ჯაბა ჯიღაური („დინამო“ ბათუმი), ოთარ კიტეიშვილი („შტურმი“, ავსტრია), მურთაზ დაუშვილი („აპოელი“, კვიპროსი), ვლადიმერ მამუჩაშვილი, სანდრო ალთუნაშვილი (ორივე „დინამო“ ბათუმი);

თავდამსხმელები: გიორგი მიქაუტაძე („მეცი“, საფრანგეთი), გიორგი ქვილითაია („აპოელი“, კვიპროსი), გიორგი ფანცულაია („დინამო“ ბათუმი).

მიქაუტაძე საფრანგეთიდან ისევ მიდის

საქართველოს ნაკრების 20 წლის ფორვარდმა, გიორგი მიქაუტაძემ გასული სეზონი ბელგიურ „სერენში“ იჯარის წესით გაატარა. მან 23 შეხვედრაში 22 გოლი გაიტანა და გუნდის უმაღლეს ლიგაში გადასვლაში ლომის წილი დაიდო. სეზონის დასრულების შემდეგ, მიქაუტაძე ფრანგულმა „მეცმა“ დაიბრუნა. ფრანგული კლუბის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ჩვენებურის დიდი იმედი აქვთ და მომავალ სეზონში იგი მთავარი ვარსკვლავი გახდებოდა, თუმცა...

საფრანგეთის უმაღლეს დივიზიონში ორი ტური მიილია და ჩვენებურმა მხოლოდ 1 წუთი ითამაშა. ეს იმას ნიშნავს, რომ მწვრთნელი მიქაუტაძეს ნაკლებად ენდობა. აი, ბელგიური „სერენი“ კი ვერ ბრწყინავს. გუნდმა 5 ტურში მხოლოდ 5 გოლის გატანა მოახერხა და კლუბი მზადაა... მიქაუტაძე ისევ იჯარის წესით აიყვანოს. ლოგიკურად, ფრანგები ამ წინადადებას უნდა დათანხმდნენ და თუ კარიერული თვალსაზრისით, ეს გიორგისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი ვერ იქნება, „სერენში“ დაბრუნება და მუდმივი სათამაშო პრაქტიკა სამომავლოდ აუცილებლად წაადგება. ცნობისათვის, „მეცის“ გულშემატკივარი კლუბის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ღიად წერს, რომ მიქაუტაძეს შანსი აუცილებლად უნდა მისცენ და მწვრთნელის გადაწყვეტილება მათთვის გაუგებარია.

„კიევომ“ არსებობა შეწყვიტა

ვერონას „კიევო“ იტალიის ერთ-ერთი გამორჩეული კლუბი გახლდათ. ის 2019 წლამდე, სერია A-ში ასპარეზობდა და ძალიან სიმპატიურ ფეხბურთსაც თამაშობდა, თუმცა 2019-ში იმდენი ვალი დაუგროვდა, რომ ფეხბურთის ფედერაციამ ჯერ ქვედა ლიგაში დააქვეითა, შემდეგ უფრო ქვევით, კიდევ უფრო და...

„სამწუხაროდ, კლუბის ისტორია, რომელმაც მე ამდენი მომცა, დასრულებულია. ჩემს ცხოვრებაში, ერთ-ერთი ყველაზე სამწუხარო დღეა. ვერონაში კლუბის გადამრჩენი ადამიანი არ აღმოჩნდა და საფეხბურთო კლუბი „კიევო“ აღარ არსებობს“, – ეს განცხადება კლუბის კაპიტანმა, სერჟიო პელისიერიმ გაავრცელა, რომელიც კლუბს ქვედა ლიგაში გაჰყვა იმის მიუხედავად, რომ მას არაერთი ცნობილი კლუბი ეპატიჟებოდა.

კეინის 100-მილიონიან ტრანსფერში კვარაცხელიას გვარიც ფიგურირებს

ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის „ტოტენჰემის“ კაპიტანმა, ჰარი კეინმა კლუბის ხელმძღვანელობას განუცხადა, რომ გუნდიდან წასვლა სურს. კეინის გადაწყვეტილება ტიტულების მოგების სურვილითაა განპირობებული და ის კარიერის გაგრძელებას „მანჩესტერ სიტიში“ აპირებს. თავის მხრივ, „სიტი“ მზადაა, ფეხბურთელში 100 მილიონი ევრო გადაიხადოს და ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ გარიგება შედგეს.

ბრიტანელი ჟურნალისტები კი კეინის გვართან ერთად, ხვიჩა კვარაცხელიასაც ახსენებენ. „ტოტენჰემს“ ქართველი შემტევის შეძენა რომ სურს, ახალი ამბავი არაა, მაგრამ საყოველთაო ფინანსური კრიზისის ფონზე, ლონდონელებს ხვიჩას სანაცვლოდ მოთხოვნილი 20 მილიონი ეძვირებათ. იმ შემთხვევაში, თუ კეინი გუნდს გამოიცვლის და „სიტი“ 100 მილიონს გადაიხდის, ძალიან დიდია იმის შესაძლებლობა, რომ კვარაცხელიამ კარიერა სწორედ „მამლებში“ გააგრძელოს. სატრანსფერო ბაზარი სექტემბერში იხურება და ყველაფერი ძალიან მალე უნდა გაირკვეს.

მამარდაშვილი კვლავ ძირითადში, თუმცა...

გიორგი მამარდაშვილის ზღაპარი გრძელდება. „ვალენსიაში“ იჯარით მყოფმა ქართველმა კიპერმა მეორე შეხვედრა ჩაატარა გუნდის ძირითად შემადგენლობაში და მართალია, ესპანელი კომენტატორები წერენ, რომ პირველი მატჩის დარად დამაჯერებელი ვერ იყო, ისეთი შეცდომა ნამდვილად არ დაუშვია, უპატიებელი რომ ეთქმის. „გრანადასთან“ შეხვედრა ფრედ – 1:1 დასრულდა და გიორგის გაშვებულ გოლში ვერავინ დაადანაშაულებს – „ვალენსიას“ დაცვა ჩავარდა და პირისპირ გასულმა თავდამსხმელმა ქართველს აუღებელი დაურტყა.

მიმდინარე პროცესებით უკმაყოფილო გუნდის ძირითად კიპერად მოაზრებული ჰოლანდიელი იასპერ სილესენია. მას არ სურს, ვიღაც ყველასთვის უცნობმა ახალგაზრდამ ძირითადი შემადგენლობიდან ასე მარტივად ამოაგდოს, თუმცა როგორც გულშემატკივრები, ისე სპეციალისტები იმ აზრზე არიან, რომ „ვალენსიას“ ძირითადი მეკარე სწორედ მამარდაშვილი უნდა იყოს და არა სილესენი. ამის მიუხედავად, არ არის გამორიცხული, უკვე მესამე ტურში, მთავარმა მწვრთნელმა საქმეში გამოჯანმრთელებული სილესენიც ნახოს.

აბა, მუშტი-კრივში მნახე, ვინა ვარ...

საფრანგეთის უმაღლესი დივიზიონის მესამე ტურში, „ნიცა“ „მარსელს“ მასპინძლობდა. მატჩის მე-80 წუთზე, მასპინძელი გუნდის ქომაგებმა „მარსელის“ მთავარ ვარსკვლავს, დიმიტრი პაიეს ბოთლი მაშინ ესროლეს, როცა ის კუთხურის ალამთან ბურთის ჩასაწოდებლად მივიდა. პაიემ ბოთლი აიღო და ტრიბუნებზე დააბრუნა. ამის შემდეგ დაიწყო, რაც დაიწყო...

გულშემატკივრები მოედანზე ჩამოვიდნენ და „მარსელის“ ფეხბურთელებს დაედევნენ. მათაც, გაქცევის ნაცვლად, მუშტი-კრივი გამართეს და საქმეში სათადარიგო ფეხბურთელები და მწვრთნელთა შტაბიც ჩაერთო. მოედანზე პოლიციაც შევიდა და როგორც იქნა, ნახევარსაათიანი ბრძოლის შემდეგ, სიტუაციის გაკონტროლება მოახერხა. მსაჯთა ბრიგადამ შეხვედრის გაგრძელება გადაწყვიტა, თუმცა „მარსელის“ ფეხბურთელები მოედანზე აღარ გავიდნენ.

„შეხვედრის დასრულებაზე უარის თქმის გამო, „მარსელს“ ჩაეთვალოს 0:3 ტექნიკური მარცხი, ხოლო „ნიცას“ და სტადიონის სანქციებზე განცხადებას უახლოეს მომავალში გავაკეთებთ“, – ნათქვამია საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის მიერ გავრცელებულ რელიზში.

უდიდესი ალბათობით, „ნიცას“ ფულად ჯარიმასთან ერთად, სტადიონის დისკვალიფიკაციაც არ ასცდება და გუნდს მინიმუმ 5 მატჩის ჩატარება მაყურებლების გარეშე მოუწევს.

ვაჟა ფშაველა



ამაო ომი

ყვავსა და ყორანს გაჰხდოდათ
არწივის საბუდარზედა:
ერთმანეთს თავ-პირს აჭამდენ
ნადავლარ-ნაქურდალზედა.
ნისკარტს ნისკარტში უყრიან,
ბრჯღალი თარეშობს ბრჯღალზედა,
ერთსაც ეწადა, სხვასაცა
ბინის შეძენა მზაზედა.
ფიქრობენ: ბუდის პატრონი
მოკლესო მაღლა მთაზედა.
როდი იციან, არწივი
რომ მოდის, მოჰყეფს გზაზედა,
ბინისკენ სული ელევა,
ცეცხლი უელავს თვალზედა!

არწივის დარდი

დასდევნებიყო მდევრადა
წეროთა გადმამავალთა
მარტოდ-მარტოკა არწივი,
გამწკრივებულთა, მრავლითა.
სწყენოდა მათი ნავარდი,
გზას უკეტავდა სავალთა.
საით სად მოთრეულები
ზეიმითა და ზარითა
სთელავდნენ მის სამფლობელოს,
მთებს, მოყოლებით ბარითა,
და არც კი ჰკითხეს პატრონსა
სიტყვითა შესაწყნარითა.
„უყურე ჯილაგ-გასაწყვეტთ!“ –
შფოთავს ბურვილი ალითა -
„მე არაფერსა მკითხავენ,
არიან თავის ძალითა.
მე მითომ აღარც კი ვიყო,
და ჩემის მიწა-წყალითა
ჰსურთ იქეიფონ და მე კი
მაცქერინებდნენ თვალითა?!
მოკვდი, არწივო, მაშინა
გათავდი თავის ბრჯღალითა“!
ამას ამბობდა, თან მკერდი
მისდ-მოსდიოდა განზედა,
ამონადული გულისა
სეტყვად სცვიოდა თავზედა,
არწივის რჩოლა და ქროლვა
მეხად ტყვრებოდა ცაზედა.
შურისძიების შედეგსა:
დაბლა მიწაზე ვხვდებოდი
თავ-პირ-დაჩეხილ წეროთა;
ზოგი გზა-გზისპირს ეყრება,
ზოგიც გართხმულა მდელოთა,
თავად ცაშია თამაშობს,
მიმოუქროდა სფეროთა.
კოტრიალობდა ცის მკერდზე,
ყაშყაშებს... დიაღ მღეროდა.
საამო თუა, მტრის ცემით
რომ გული მოვიჯეროთა?!

აღარც-რას მერცხალს ვუყურებ

(სიმღერა)

აღარც-რას მერცხალს ვუყურებ,
აღარც ცას მჭყივანთ წეროთა,
იდინონ ნელის ნაბიჯით
შავთ ნისლთა გასაშტეროთა,
მკერდს მაიფინონ ყვავილნი
ჩემის სამშობლოს მდელოთა...
შავთ თვალთ დამასხან ნექტარი
მაცოცხლებელი წყლულზედა,
მითაც ვერ მოვშლი გლოვისა,
ნუგეშსა დაკარგულზედა;
რაც ერთხელ შამყვარებია,
უმტკიცესია რჯულზედა.

ბერიკაული

ხმალს ჰლესავს ბერიკაული,
დაფიქრებული ძალზედა,
ჰლესავს დიდრონი სალესით,
თან ცერს გადუსომს ფხაზედა.
დიდხანს ეკიდა კაჩხაზე,
არ გატანილა კარზედა.
შემჭვარლული აქვს ქარქაში,
მტვერი სდებია ტარზედა,
ხმალი ჟანგს შეუჭამია,
ვაჰ დედას მტრისას, რაზედა?
მოსულან ახალ-უხლები,
წამოსდგომიან თავზედა:
„ხმალს ვისზე ჰლესავ, ბიძია,
მაგრე გულმოდგინებითა?
შენ უნდა ცელსა ჰლესავდე,
ან ცულსა!“ – ჰკითხეს წყებითა.
– თქვენ ბალღები ხართ, რა იცით,
დღეში ათასჯერ სცდებითა.
კარგახანს ვლესე ისინი,
ვიქნიე ცული, ცელიცა,
დავღვარე ოფლი მრავალი,
მით მოვრწყე ტყე და ველია;
მათ სამსახურში დავლიე
წუთისოფელი მთელია.
მაინც ვერ ამოვიყვანე
უბეს პურს დანატრებულსა
ვინ მომცა ლუკმა სველია?
საკმაო ხანი ვითმინე,
მოთმენა გამომელია.
ახლა ხმალს ვლესავ გორდასა,
გალესვა იმის ჯერია;
იქნება იმან მიშველოს
და მომაშოროს მტერია.
აჭიმა ბერიკაულმა
მაღლა წარბები სქელია
და გადმოყარა თვალთაგან
ნაპერწკლის ჯგუფი ცხელია.
„მტერზე ჩვენ მივალთ ახლები,
შენ დაწევ, დაისვენეა!“
– ჰმ! თუ წინ ბერი არ მოკვდა,
ახლის სიკვდილი ძნელია! _
კვალად სთქვა ბერიკაულმა,
ოხვრა ამოჰხდა გრძელია.

ბოქაული

მინამ ქვეყნად გაისმოდა
„ერთობა და სიყვარული!“
ჩვენმა მცველმა ბოქაულმა
არ იცოდა სიბრალული.
მუშტით, ჯოხით და მათრახით
ხალხსა სთიბდა ბოქაული
ისე, როგორც მოსულს ყანას
კარგი ცელი მოფხაული.
მაგრამ როცა ხალხი ნახა
ყოველ მხრიდან მოზღვაული,
იძახოდა: „ძირს მთავრობა,
ნაჩალნიკი, ბოქაული,
სუდიები, მინისტრები,
ტანსაცმელით მოქარგული!“
პირში ლანძღვენ როგორც ბალღსა;
მაშინ ჩვენი ბოქაული
კრავად იქცა უვნებელად,
დადის ოთხად მოკაული.
ხალხთან ერთად „ძირსო“ ჰყვირის,
ჰფიცავს გულში მუშტის ცემით:
„თქვენი ძმა ვარ“, და პაგონებს
იხსენიებს კრულვით, წყევით.
წამოდგება მაღლობზედა
ამაშფოთვარ სიტყვა-რჩევით.
„თქვენთვის, ძმებო,
მზად ვარ მოვკვდე,
დავიტანჯო, გავიყიდო,
ცოლ-შვილი თავს შემოგავლოთ,
ყელზე ლოდი დავიკიდო!“
ხალხიც ამბობს: „გამოკეთდა,
დრომ შეცვალა... ნამდვილია“.
ერთმა ბრძენმა ვერ იფიქრა,
ვის ნაწურთნი გაზრდილია.
საცა ხვალს ხრავს,
ძაღლი იქ ჰყეფს.
ეს ვერ იგრძნო, ვერ გაიგო,
მიტომ მოხდა, ბოქაულმა
უარესად დღეს აგვიკლო.
ხალხის პირი დაქუცმაცდა,
დანაწილდა და გაიყო,
უკან-უკან დაიხია,
სასიკვდილოდ ვინც მზად იყო.
რეაქციამ გაიმარჯვა,
ბოქაულიც გამოცოცხლდა,
სათვალთმაქცო სამოსელი
გაიხადა, გამოცოცდა.
როგორც გველი, გვეტევება,
არა გვზომავს მოსაშხამად.
დღეს გავიყეთ, თავში ვიცემთ,
ძმა რომ დაგვდევს მოსაკლავად.
ვნანობთ, მაგრამ რა იქნება!
აღარ გვიძმო, მოგვაღორა,
დღეს თვალებსვე გვიბრიალებს,
ზურგში კეტი მოგვაყოლა.
ძმად-ნაფიცი მეგობრები
წუთისოფელს მოაშრა.
გონს მოვედით, დღეს-ღა ვამბობთ:
ნუ ვენდობით ბოქაულებს,
ნურც იმათ ფიცს, ნურც საძმოდა
შემოწირულს ორ შაურებს.
სწორე უთქვამთ ცხონებულებს
მამა-პაპას საგძლად ყურის:
„ძაღლი იმის ერთგულია,
ვინაც სწურთნის, ვინც პურს უყრის“.

მოწევა ანტისხეულების წარმოქმნას აფერხებს

იაპონელმა სწავლულებმა კორონავირუსის საწინააღმდეგო "ფაიზერით" ვაქცინირებულ პირებში ანტისხეულების წარმოქმნის ხელშემშლელი ფაქტორები დაადგინეს. შესაბამისი კვლევა medRxiv-ში გამოქვეყნდა. კვლევებისას სპეციალისტებმა მედიცინის 378 მუშაკის ანალიზები შეისწავლეს, რომელთა ვაქცინაციიდან სამი თვე იყო გასული. სწავლულებმა ყურადღება გაამახვილეს ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა ვაქცინირებულის ასაკი, სამედიცინო ისტორია და მავნე ჩვევები. აღმოჩნდა, რომ ვაქცინაციის შემდეგ, ანტისხეულების წარმოქმნისას, გადამწყვეტი ფაქტორი ასაკი და მოწევაა. ანტისხეულების კონცენტრაცია მწეველ ვაქცინირებულთა სისხლში ნორმაზე 140-250 ერთეულით დაბალი აღმოჩნდა. იმუნოლოგები ვარაუდობენ, რომ თუკი ადამიანი ამ მავნე ჩვევას თავს დაანებებს, შესაძლოა, ამან ვაქცინის ეფექტურობა გააუმჯობესოს.

გალერეა შედევრების ციფრულ ასლებს ყიდის

ფლორენციაში მდებარე უფიცის გალერეამ, მსოფლიოში პირველმა დაიწყო სახელგანთქმული მხატვრების ტილოების ზუსტი ციფრული ასლების გაყიდვა. ამჟამად, მის კატალოგშია ბოტიჩელის, ტიციანის, კარავაჯოსა და სხვა მხატვრების ნამუშევრები. მყიდველისთვის ხელმისაწვდომია სანდრო ბოტიჩელის „ვენერას დაბადება“, ტიციანის „ურბინოელი ვენერა“, კარავაჯოს „ვაკხა“, მიქელანჯელოს, ბრონზინოს, რუბენსისა და კანალეტოს ქმნილებები. ასლების მასშტაბი 1:1-ია. ისინი სერტიფიცირებულია და დაშიფრული ციფრული სისტემითაა დაცული. ყოველ ნახატს საკუთარი კოდი აქვს, რაც საკუთრების უფლების მოწმობას წარმოადგენს. ცნობილი ტილოების ასლები შეზღუდული რაოდენობით დაამზადეს – თითოეულისთვის მხოლოდ 9 ასლი. ერთი ასეთი ციფრული ტილო უკვე გაიყიდა 170 ათას დოლარად.

იყიდება ხელსახოცი მესის ცრემლებით

სავაჭრო პლატფორმაზე იყიდება ხელსახოცი, რომლითაც ცნობილმა ფეხბურთელმა, ლეონელ მესიმ „ბარსელონასთან“ გამოსამშვიდობებელ პრესკონფერენციაზე ცრემლები მოიწმინდა. მაყურებელმა ნახა, რომ პრესკონფერენციის დასაწყისში, ტიტულოვან სპორტსმენს განცხადების გაკეთება სურდა, თუმცა მან ცრემლები ვერ შეიკავა და მეუღლემ მას ერთჯერადი ხელსახოცი მიაწოდა. გამყიდველის ვინაობა უცნობია, მან ანონიმურობა არჩია. მესის ცრემლებიან ხელსახოცს კი უზარმაზარი ფასი დაადო – ის ერთ მილიონ დოლარად იყიდება.

ანტივაქსერი მედდა ხალხს ფიზიოლოგიურით ცრიდა

გერმანიაში, საერთაშორისო ორგანიზაცია „წიტელი ჯვრის“ მედდას ბრალს სდებენ იმაში, რომ კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის ნაცვლად, ის ადამიანებს ფიზიოლოგიური ხსნარით ანუ მარილიანი წყლით ცრიდა. ამის გამო, ხელისუფლება ათასობით ადამიანს მოუწოდებს, კიდევ ერთი აცრა ჩაიტარონ. როგორც სამართალდამცავებმა გაარკვიეს, გაზაფხულის დასაწყისში, ფრისლანდიაში მდებარე ვაქცინაციის ცენტრში, მედდამ მარილიანი ხსნარით, დაახლოებით, 8600 ადამიანი აცრა. ეს სითხე კი უსაფრთხოა, მაგრამ მარტსა და აპრილში ქვეყანაში, ძირითადად, ასაკოვანი ადამიანები აიცრნენ და კორონავირუსით დაავადების რისკი ამ „ცრუ-აცრილებში“, შესაძლოა, საკმაოდ მაღალი და სასიკვდილო იყოს. გამოძიებას ჯერ არ დაუდგენია, რა იყო ამ მედდის ქცევის მოტივი, თუმცა გამომძიებლების თქმით, სოციალურ ქსელებში ის ვაქცინის შესახებ მეტად სკეპტიკურ მოსაზრებებს აზიარებდა.

ძველ მაცივარში ქონება იპოვა

სამხრეთ კორეაში მცხოვრებმა მამაკაცმა 95 ათასი დოლარი იპოვა მეორად მაცივარში, რომელიც ინტერნეტ-მაღაზიაში შეიძინა. ახალი შენაძენის მოწესრიგება-დასუფთავების დროს, მან 2200 კუპიურა იპოვა, რაც ჯამში, 110 მილიონი ვონი აღმოჩნდა ანუ დაახლოებით, 95 ათასი ამერიკული დოლარი. ამ აღმოჩენის შემდეგ, მამაკაცმა პოლიციას მიმართა. ამჟამად სამართალდამცავი ორგანოები მაცივრის წინა მფლობელის დადგენას ცდილობენ. თუკი ექვსი თვის განმავლობაში ძველი პატრონი არ გამოჩნდება, ამ თანხას მისი მპოვნელი წაიღებს. თუმცა, ამ შემთხვევაში, მას ნაპოვნი თანხის 22%-ის სახელმწიფოსთვის გადახდა მოუწევს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას მთელი თანხა ჩამოერთმევა.

ორშაბათი გულისთვის ცუდი დღეა

შვედმა სწავლულებმა უფსალას უნივერსიტეტიდან, დაადგინეს, რომ კვირის გარკვეულ დღეს, გულის შეტევის რისკი იზრდება. მათ გამოიკვლიეს 156 ათასი ადამიანის შემთხვევაში განვიტარებული გულის შეტევები 2003 და 2013 წლებში და აღმოჩნდა, რომ უმრავლესობისთვის ყველაზე სახიფათო დღე ორშაბათი იყო. გულის შეტევის რისკი იზრდებოდა, როცა ადამიანი ძლიერ სტრესს განიცდიდა. ამ თვალსაზრისით, კვირის ზოგიერთი დღე უფრო პრობლემურად მიიჩნევა. ხანგრძლივი სტრესი ზრდის ტვინის იმ მიდამოს აქტივობას, რომელიც ემოციის დამუშავებას უკავშირდება. ეს კი გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებების განვითარების რისკის მატებას იწვევს. მკვლევართა მოსაზრებით, დასვენების დღეებში ადამიანები დუნდებიან, წნევა გაკონტროლებულია და გულის შეკუმშვების სიხშირეც ნორმალურია.

რეპერის თაყვანისმცემელმა შიმშილობა გამოაცხადა

ამერიკელმა პატრიკ უიდენმა, რეპერ კანიე უესტის მისამართით, „ტიკ-ტოკზე“ ვიდეომიმართვა გამოაქვეყნა. მომღერლის თაყვანისმცემელი აცხადებს, რომ ის ახალი ალბომის – Donda-ს გამოსვლამდე შიმშილობას აპირებს. „ლოდინით დავიღალე. ამ მომენტიდან, საჭმელს აღარ გავეკარები. შეიძლება, ამის გამო, სიცოცხლის ერთი კვირაღა დამრჩეს. კანიე, გამოუშვი ალბომი ახლავე, გთხოვ“, – მიმართავს უიდენი რეპერს. რამდენიმე საათში, მან მორიგი ვიდეო დადო, რომელშიც კვლავ მოითხოვდა ალბომის გამოშვებას და აღნიშნავდა, რომ ვახშამი და საუზმე გამოტოვა და თავი სტკივა. კიდევ ერთი ვიდეო უიდენმა მეორე დღეს გამოაქვეყნა, სადაც აცხადებდა, რომ უკვე რამდენიმე კილოგრამი დაიკლო, თუმცა შიმშილობას განაგრძობს და კანიეს ახალ ალბომს კვლავ მოუთმენლად ელოდება. რეპერის მეათე ალბომს თაყვანისმცემლები ჯერ კიდევ ივლისში ელოდებოდენ, თუმცა მისი გამოშცება რამდენჯერმე გადაიდო. სავარაუდოდ, Donda ამ თვის ბოლომდე გამოვა.

მოწყენილობამ მილიონი აშოვნინა

მოწყენილობის გამო, ამერიკელმა ქალბატონმა ლატარიის ბილეთები იყიდა და მილიონი დოლარი მოიგო. ამერიკელი ანჯელა კარაველა კანზას-სიტიდან, უბრალოდ, დროის გაყვანას ცდილობდა, რადგან მისი თვითმფრინავის რეისი გადაიდო. "როცა მოულოდნელად ფრენა გადაიდო, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს რაღაც უცნაური უნდა მომხდარიყო", – ამბობს 61 წლის ანჯელა. ის სუპერმარკეტში წავიდა და დროის გასაყვანად, რამდენიმე სკრეტჩ-ბილეთი იყიდა. ერთ-ერთი ბილეთი მომგებიანი აღმოჩნდა და მფლობელს მილიონი დოლარი მოუტანა. ცნობილია, რომ ქალბატონმა კარაველამ 790 ათასი დოლარი მიიღო, რადგან მოგებული თანხის ერთჯერადად აღება გადაწყვიტა. მაღაზიამ კი, სადაც ქალმა მომგებიანი ბილეთი იყიდა, ჯილდოდ 2 ათასი დოლარის ღირებულების ბონუსი მიიღო The Fastest Road-ის ლატარიისგან.

ელექტრომობილი ხანდაზმულებისთვის

იაპონურმა კონცერნმა Toyota, ახალი ელექტრომობილი შექმნა, რომელიც სპეციალურად ასაკოვან ადამიანებზეა გათვლილი. მანქანა ორ-ადგილიანია და მას საათში მხოლოდ 60 კილომეტრი სიჩქარის განვითარება შეუძლია. ელექტრომობილის სრული დამუხტვისას, ის მხოლოდ 100 კილომეტრს გაივლის. კომპანიის წარმომადგენლების თქმით, მანქანა მეტად კომფორტული, მოსახერხებელი და ამავდროულად, ეკონომიურიცაა, რაც მოხუცებს მის მოხმარებას გაუადვილებს. ახალი მოდელის ელექტრომობილის შეძენა ხანდაზმულ ადამიანებს უკვე მომავალი წლიდან შეეძლებათ.

სტუდენტებს თმის შეღებვა აუკრძალეს

ჩინეთში, სიანის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში, სტუდენტებს თმის შეღებვა აუკრძალეს, გამონაკლისი მხოლოდ მუქ ყავისფერს ეხება. ამ ფაქტს დიდი უკმაყოფილება მოჰყვა სტუდენტების მხრიდან. სასწავლო დაწესებულებაში ეს ფაქტი დაადასტურეს და გაოცება ვერ დამალეს – რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს, ისინი ხომ სტუდენტები არიანო. სოციალურ ქსელში საზოგადოების დიდი ნაწილი აკრძალვას დასაშვებად მიიჩნევს სკოლაში, მაგრამ სტუდენტებისთვის ამგვარი რეგულაცია სისულელედ მიაჩნიათ. აღსანიშნავია, რომ ჩინეთის უმაღლეს სასწავლებლებში საკმაოდ ხშირად იღებენ ასეთ „ჭკვიანურ“ გადაწყვეტილებებს. მაგალითად, ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს, საერთო საცხოვრებელში ფარდების დაკიდება აუკრძალეს.

Google Maps-ის გამოყენება აკრძალეს



იტალიაში, ქალაქ ბაუნეიში, რომელიც კუნძულ სარდინიაზე მდებარეობს, Google Maps-ის გამოყენება აკრძალეს, რადგან ნავიგატორის კარნახით, ტურისტები არაერთხელ დაკარგულან ამ მიდამოებში. ბაუნეი ნაუროს პროვინციაში, მთიან ნაწილში მდებარეობს. მოგზაურები, რომლებიც „გუგლის“ რუკებით სარგებლობენ, გაუვალ გზებზე ხვდებიან და უკან დაბრუნებას დამოუკიდებლად ვეღარ ახერხებენ. დაკარგული ტურისტების გადასარჩენად, წლის დასაწყისიდან დღემდე, ადგილობრივმა სამაშველო ჯგუფმა 144 ოპერაცია ჩაატარა. სწორედ ტურისტებზე ზრუნვიდან გამომდინარე, ქალაქის მერის განკარგულებით, გზების გასწვრივ გამაფრთხილებელი ნიშნებიც დაამონტაჟეს წარწერით: „ნუ მიჰყვებით Google Maps-ის მიმართულებას“. აღსანიშნავია, რომ აპლიკაციას პრობლემები აქვს ვენეციაშიც – აქ ნავიგატორი მომხმარებელს ქალაქის არხებში ავტომობილით სიარულს სთავაზობს.

როგორ გავითეთროთ კბილები

სტომატოლოგები მოგვიწოდებენ, ხშირად მივირთვათ შავი შოკოლადი, მარწყვი და დავლიოთ მწვანე ჩაი. ეს პროდუქტების საუკეთესო ნაკრებია საუზმისთვის, თუკი გსურთ, კბილები თეთრი გქონდეთ. აღმოჩნდა, რომ ამ პროდუქტებს შეუძლია კბილის ნადებისგან გათავისუფლება, რომელიც ღამით წარმოიქმნება. შოკოლადი შეიცავს თეობრომინს – ნაერთს, რომელიც კბილის ემალს ამაგრებს. აღსანიშნავია, რომ რძიანი შოკოლადი ასე არ მოქმედებს. პირიქით, რძისა და შაქრის გამო, ის პირიდან უსიამოვნო სუნის გაჩენას უწყობს ხელს. მწვანე ჩაი მდიდარია ვიტამინებით. ისინი არ აძლევენ ბაქტერიებს საშუალებას, მიეწებონ კბილებს ანუ ნარჩუნდება ფერი და სუფთა ამონასუნთქი. ამასთან, ჩაი მდიდარია პოლიფენოლებით, რომელიც ანადგურებს ბაქტერიებს, მჟავიანობას და ზრდის ფტორის კონცენტრაციას პირის ღრუში. მარწყვი ვაშლის ძმარს შეიცავს. ისიც წმენდს კბილებს. ამ პროდუქტების გარდა, სწავლულების თქმით, ყველიც სასარგებლოა.

რესტორნიდან ნარჩენებსაც შეუკვეთავენ

დიდ ბრიტანეთში ახალი სერვისი ამოქმედდა - რესტორნებიდან საკვების ნარჩენების შეკვეთა. სიახლის ავტორების, ეკოლოგების - კრის უილისისა და ჯეიმი კრამის თავდაპირვლი მიზანი ნარჩენების შემცირება იყო. ყოველწლიურად, მილიონობით ტონა საჭმელს ყრიან ბრიტანული რესტორნები და თან იძულებულები არიან, გარკვეული თანხაც გადაიხადონ მისი უტილიზაციისთვის. ამ დროს კი უამრავი ადამიანია, რომლებსაც საკვები სჭირდებათ, მაგრამ ამისთვის ფული არ ჰყოფნით. ეკოლოგებმა შექმნეს პროგრამა სმარტფონებისთვის - Too Good to Go და ამით ერთდროულად ორი პრობლემის მოგვარება სცადეს: აპურებენ მშიერ ადამიანებს და საკვების ნარჩენებსაც ამცირებენ. ამ პროგრამის წყალობით, ყველა მსურველს შეეძლება მიიღოს ვახშამი რესტორნიდან, სულ რაღაც 2-4 გირვანქად. ეკოლოგების წამოწყებაში ლონდონის 95 რესტორანი და ბრაიონისა და ლიდსის კიდევ რამდენიმე დაწესებულება მონაწილეობს. მთელ მოგებას იდეის ავტორები საკუთარი წამოწყების ქსელის გაფართოებაზე დახარჯავენ.

ლუდის ბოთლი ქაღალდისგან

ლუდის მწარმოებელმა კომპანია Carlsberg Group, სასმელისთვის ბიოხრწნადი ბოთლები შექმნა. ეკოლოგიური სიახლე ბრენდმა კოპენჰაგენში წარადგინა. ახალი ბოთლი ორი სახისაა და ფორმით, ორივე მათგანი ლუდის ჩვეულებრივ ტარას ჰგავს. მეტიც, ზედაპირზე სლოგანიც კი აქვს ამოტვიფრული. ბოთლები ხის ბოჭკოებისგან შექმნილი ქაღალდით დაამზადეს. ერთი მათგანის შიდა ზედაპირი პოლიეთილენტერეფტალაის ფენითაა დაფარული, მეორესი – პოლიეთილენ-ფურანოატის. ჯერჯერობით, კომპანია ახალი ბოთლების ტესტირებას ახდენს, რათა „იდეალურ ვარიანტს“ მიაგნოს. ბოთლების მასობრივ წარმოებაზე არაფერი თქმულა, თუმცა ცნობილია, რომ კომპანიის მესვეურთა განცხადებით, ხისგან შექმნილი ტარა გაცილებით ნაკლებ ზიანს აყენებს გარემოს, ვიდრე შუშის ბოთლები ან ალუმინის ქილები.

მაცხოვრებლებს ფულით იტყუებენ

შვეიცარიაში მდებარე ერთ-ერთმა სოფელმა „გაახალგაზრდავება“ გადაწყვიტა. საამისოდ ადგილობრივი ხელისუფლება ნებისმიერ მსურველს 1510 დოლარს გადაუხდის, თუკი ის სოფელში დასახლდება, თუმცა მხოლოდ ერთი პირობით. გროსდიტვილელების პირობაა, რომ აქ ცხოვრების მსურველი 30 წლამდე ასაკის უნდა იყოს. ასეთი ადამიანი საკუთარ სახლს სოფლის განაპირას მიიღებს. გროსდიტვილში, რომლის მოსახლეობაც სულ 870 ადამიანია, ბევრი ცარიელი ბინაა. მერიის წარმომადგენლების თქმით, ასეთი შეთავაზება ბევრ ახალგაზრდას სოფელში დასახლების სურვილს გაუჩენს. ცნობილია, რომ ამ წინადადებით უკვე ისარგებლა ოთხმა ადამიანმა. გადახდილი თანხა კი მათ პირველი თვის გადასახადებზე ეყოფათ.

ვიაგრა და კოფეინი ჩვილებისთვის?

ამერიკელმა მედიკოსებმა დაამტკიცეს, რომ კოფეინს შეუძლია ნაადრევად დაბადებულ ჩვილს სიცოცხლე შეუნარჩუნოს. ის დიაფრაგმასა და ფილტვებს ასტიმულირებს, ასევე ტვინსაც და პატარას სუნთქვას აიძულებს. არსებობს კიდევ ერთი საშუალება ნაადრევად დაბადებული ბავშვებისთვის - სილდენაფილი (ვიაგრა). არც თუ იშვიათად, ასეთ ჩვილებს ფილტვების ჰიპერტენზია სჭირთ, რაც იმაში გამოიხატება, რომ გულს ძალიან უჭირს სისხლის გადაქაჩვა ფილტვებიდან. სილდენაფილი მოადუნებს ფილტვებს და გულისთვის ამ ამოცანის შესრულებაც გაადვილდება. ნაადრევად გაჩენილი ბავშვების მკურნალობითვის ყველა შესაძლო მეთოდის გამოყენებას ექიმებს სამწუხარო სტატისტიკა აიძულებს. ამერიკელი მედიკოსების მონაცემების მიხედვით, ბოლო თაობაში ასეთი პატარების რიცხვი 35%-ით გაიზარდა. თუმცა, ყოველ შემტხვევაში, თავიდან აიცილო გართულება უფრო ადვილია, ვიდრე მკურნალობა. ამიტომაც ექიმები მშობლებს ურჩევენ, ორსულობისას ყურადღებით მოეპყრონ საკუთარ ჯანმრთელობას.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეებმა, აშშ-ის საელჩოს რეგიონული უსაფრთხოების სამსახურის ახალ ხელმძღვანელთან გაცნობითი შეხვედრა გამართეს

შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, შალვა ბედოიძემ და მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ აშშ-ის საელჩოს რეგიონული უსაფრთხოების სამსახურის ახალ უფროსთან გაცნობითი შეხვედრა გამართეს.

ჯეიმს იულინი მიმდინარე წლის აგვისტოდან შეუდგა საქართველოში საქმიანობას.

შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა სამინისტროსა და რეგიონული უსაფრთხოების ოფისს შორის არსებული და სამომავლო თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებებზე ისაუბრეს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეებმა, ჯეიმს იულინს მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების COVID-19-ის საწინააღმდეგო მასობრივი ვაქცინაციის პროცესი მთელი ქვეყნის მასშტაბით კვლავ აქტიურად მიმდინარეობს

ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მასობრივი აცრის პროცესი მთელი ქვეყნის მასშტაბით აქტიურად გრძელდება.

„თბილისის ზღვის პლაზაში“ გახსნილ იმუნიზაციის ცენტრში, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ვაქცინაცია.

COVID-19-ის საწინააღმდეგო სხვადასხვა ვაქცინით სამინისტროს თანამშრომელთა მასობრივი ვაქცინაციის პროცესი უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს, როგორც დედაქალაქში, ასევე, რეგიონებში არსებულ იმუნიზაციის ცენტრებში. თბილისსა და რეგიონებში არსებულ იმუნიზაციის ცენტრებში მოწყობილია ვაქცინაციის კაბინეტები, რომლებიც შესაბამისი სამედიცინო საშუალებებითაა აღჭურვილი, რაც უზრუნველყოფს ვაქცინაციის პროცესისა და მისი შემდგომი პერიოდის მეთვალყურეობის უსაფრთხო გარემოში ჩატარებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს შეუძლიათ, კვირის ნებისმიერ დღეს, წინასწარი რეგისტრაციის გარეშე აიცრან „ფაიზერის“, „სინოვაკის“ ან „სინოფარმის“ ვაქცინით. ამ ეტაპზე, სამინისტროს თანამშრომლების 60%-მდე უკვე აცრილია.

აშშ-ის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაციის (DEA) რეგიონული დირექტორი ქართველ სამართალდამცველებს შეხვდა და ტრანსნაციონალურ ნარკოდანაშაულთან წარმატებული ბრძოლისთვის მადლობა გადაუხადა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი, მამუკა ჭელიძე აშშ-ის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაციის (DEA) რეგიონულ დირექტორს, უილიამ უორენთს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში წარმატებით ჩატარებული საერთაშორისო ღონისძიება, რომლის შედეგადაც ქართველმა, უკრაინელმა და სომეხმა სამართალდამცველებმა უკრაინაში, ქალაქ კიევში, 368 კილოგრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ამოიღეს.

DEA-ს რეგიონულმა დირექტორმა აღნიშნული ღონისძიების წარმატებით ჩატარებაში საქართველოს პოლიციის მიერ შეტანილ წვლილსა და მის ეფექტურ მუშაობაზე გაამახვილა ყურადღება. უილიამ უორენთმა ქართველ კოლეგებს ბოლო წლების განმავლობაში არსებული მჭიდრო თანამშრომლობისა და წარმატებული მუშაობისათვის მადლობა გადაუხადა.

თავის მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დირექტორმა, მამუკა ჭელიძემ DEA-ს წარმომადგენლებს თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. მან იმედი გამოთქვა, რომ მხარეებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდება და გაღრმავდება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.